44(199) 1.12. პარასკევის გამოშვება 30 თეთრი

# ფანტაზია 2000



## კროსვორდების ფლავრული სამყარო

ოცნებას შეუძლია ლატაკი ჭაბუკი უმდიდრეს ადამიანად აქციოს. ასე შეიქმნა მითი „Selfmademan"-ის ანუ მდაბიო კაცის შესახებ, რომელმაც ჭკუითა და ნებისყოფით ცხოვრების ყველა პრობლემა გადალახა *(მე-3 გვ.)*

**ხელოვანი ადამიანის რაიმე განსაკუთრებული სახესხვაობა არ არის, მაგრამ ყოველი ადამიანი ხელოვანის განსაკუთრებული სახესხვაობაა.**

*(აფორიზმებისა ანთოლოგია №№935-955,* *მე-16 გვ.)*





**ბაიადერა** - ინდოელი მოცეკვავე ქალების სახელი ევროპაში.



**ბაიადერა** - იმრე კალმანის ოპერეტა.

(ვაგრძელებთ საკროსვორდო ენციკლოპედიას, მე-6 გვ.)



**მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი (გამოშვება 21)**

## კლაუდია კარდინალე

ისილეთ მე-13 გვ.



**მომავალ პარასკევს გამოვა „ფანტაზიის" მე-200 ნომერი**

# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება **ვახტანგ ელერდაშვილი**

პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე

***კითხვა №1*** სემიუელ ბატლერის აზრით. მძარცველი შეიძლება თანახმა იყოს ერთ-ერთი მათგანის წართმევაზე, ქალი კი ორივეს ითხოვს...

**დაასახელთ ორივე (6 ქულა)**

***კითხვა №2*** ჩინელი ფილოსოფოსის იუტან ლის აზრით, ქალთა მოდა ეს არის მარადიული ბრძოლა ქალში არსებული ორი ურთიერთგამომრიცხავი სურვილისა...

**რომლების? (10 ქულა)**

***კითხვა №3*** არსებობს ლეგენდა, რომ ერთხელ ბერძენთა მეფე პალამედე ჭადრაკს თამაშობდა და პარტიის მსვლელობისას მხედრით შეიჭრა მოწინააღმდეგის ფიგურათა განლაგებაში...

**რა იდეა გაუჩნდა მას (11 ქულა)?**

***კითხვა №4*** არსებობს აზრი. რომ ეს ხელოვნება, ფოკუსის, ტრიუკის, გასართობი ატრაქციონისა და მისთანათაგან წარმოიშვა; კიდევ ამბობენ, რომ მას საზღვრები ისევე არ გააჩნია, როგორც უსაზღვროა ფანტაზია...

**რა იგულისხმება (7 ქულა)?**

***კითხვა №5*** ერთი პროფესიონალი ველოსიპედისტი კომისიის შეცდომაში შეყვანის მიზნით დოპინგ-კონტროლზე თავისი ცოლის შარდს აბარებდა ხოლმე, მაგრამ ერთხელ მას ეს ტრიუკი არ გაუვიდა და იგი კომისიამ ტყუილში ამხილა...

**რა მოხდა (11 ქულა)?**

***კითხვა №6*** ამგვარ სკოლებში, რომლებიც მთელ იტალიაში იყო გავრცელებული, ძალზედ მკაცრი რეჟიმი მეფობდა და ციხისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იქ მოსწავლეების ფიზიკურ მდგომარეობაზე ზრუნავდნენ და მათ ძალზედ კარგად კვებავდნენ...

**ვინ აღმოჩნდა ამ სკოლების ყველაზე ცნობილი მოსწავლე (8 ქულა)?**

**„ფანტაზიორის" მოყვარულებს კიდევ ერთხელ ვაცნობებთ, რომ ეს რუბრიკა „ეთერში გავა" თითო ნომრის გამოტოვებით**

**თანაკლასელები დაბადების დღეს ულოცავენ**

ნანა ხიდეშელს



**და უსურვებენ დიდ ცხოვრებისეულ ბედნიერებას, რასაც, რა თქმა უნდა, უერთდება გაზეთ „ფანტაზიის" მთელი რედაქციაც!**

# ყურადღება!!! ყურადღება!!!

**თამაშდება 40 ლარი!**

**მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს!**




### გასული ტურის პასუხები და შედეგები

სატურნირო კითხვები: 1. მიხეილ ტალმა კასპაროვს უთხრა - „შენ გახდი ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი და შენვე იქნები ყველაზე ახალგაზრდა ექს-ჩემპიონი"-ო (უნდა გეხსენებინათ ეს ექს-ჩემპიონობა). 2. ძვ. რომში წელიწადი მარტში იწყებოდა და ამიტომ იყო დეკემბერი მე-10 თვე. 3. იგულისხმება ენები.

სამივე კითხვა ერთად ვერავინ ამოიცნო, თუმცა ცალ-ცალკე სამივე ამოცნობილ იქნა.

საპრემიო კითხვები: 1. ეიფელის კოშკი. 2. „Сам выбирай колор и сам красъ".

მე-11 ტურში თამაშდება წინა სამი ტურის გაუთამაშებელი თანხაც და ამჯერად გამარჯვებულს შეუძლია მიიღოს 40 ლარი (ან განაწილდეს გამარჯვებულებს შორის)

**22 ქულა:** გია ჯვარშეიშვილი (34,50 ლარი), ნოდარ გოქაძე (13,30).

**21 ქულა:** მერი მამრიკიშვილი (17 ლარი).

**17 ქულა:** მერაბ წიკლაური (7,50), დიანა საღრიშვილი (2 ლარი), ვაჟა პაპუაშვილი (2,00).

**16 ქულა:** სოფიკო დუნდუა (4,50). **12 ქულა:** ნიკოლოზ წიქარიშვილი, ანდრო მჭედლიშვილი (6.70). **11 ქულა:** გია წერეთელი (10 ლარი), გიორგი გვასალია (6.70), ნუკრი მაისურაძე. **10 ქულა**: ივანე ბერიანიძე (3,30 ლარი). **9 ქულა**: ვახტანგ ნანავა (2,50 ლარი), ბაჩანა შენგელია, თამრიკო დამენია **8 ქულა**: მზია ღვინიაშვილი **7 ქულა**: თემურ აფციაური, ვლადიმერ ყაჯრიშვილი. **6 ქულა:** კობა დალაქიშვილი. **5 ქულა:** თიკო გაბუნია, სოსო ნიკოლაშვილი, ნადეჟდა ელიზბარაშვილი. **4 ქულა:** ლევან ჩიგოგიძე. **3 ქულა**: დათო ჭილიტაშვილი. **2 ქულა**: ქეევან მოსიაშვილი, მარინა ამაშუკელი, დავით ბასილია, ნათია ჩუბინიძე. **1 ქულა**: ნუნუკა ჯღამაძე, მაკა ბულაძე, მარინა ბერიკაშვილი.

### სატურნირო კითხვები

**პირველი კითხვა**

ერთი ინგლისელი ფილოსოფოსის აზრით, ერთი საგნის ამგვარი სახეცვლილების იდეა დაებადა ქალს, რომელსაც შუბლზე აკოცეს...

**რა იგულისხმება?**

**მეორე კითხვა**

გამოანგარიშებულია, რომ ყველაზე პოპულარულია თეთრი ფერი; მას მოსდევენ მწვანე და წითელი... საერთოდ კი (თუნდაც ჩვენს ქალაქში) შეგვიძლია ასზე ბევრად მეტი ასეთი ფერის დაფიქსირება...

**რა იგულისხმება?**

**მესამე კითხვა**

ერთი ლეგენდის თანახმად მეკობრე ფრენსის დრეიკმა ინგლისის დედოფლის ხილვისას თვალებზე ხელი აიფარა და წარმოთქვა - „მე დამაბრმავა თქვენმა მშვენიერებამ".

ამ ფაქტმა შექმნა ტრადიცია, რაც ჩვენც არაერთხელ გამოგვიყენებია (უპირატესად, რა თქმა უნდა მამაკაცები იგულისხმება)

**რა ტრადიციაზე ლაპარაკი?**

### საპრემიო კითხვები

**1.** ალბათ, ქიმიკოსები დაგვეთანხმებიან, რომ ასეთი ჩანაწერი $C_2H_2$ უაზრობას წარმოადგენს, თუმცა უფრო მეტი უაზრობაა ის კიდევ ერთი სფეროსათვის...

**რომლისთვის?**

**2.** მეცნიერები ხუმრობენ, რომ კოღოებს გარკვეული სარგებელი მოაქვთ ტროპიკული ტყეების დაცვის საქმეში...

**როგორ?**

1. პარფიუმერულ-კოსმეტიკური სითხე (**5**). 2. წყალშეუვალი ქსოვილის პალტო, საწვიმარი (**6**). 3. რა აქვთ საერთო ვენესუელას და ინდოეთს? (**5**). 4. მარდი და სწრაფი ანუ? (**3**). 5. საყოფაცხოვრებო ნივთი (მეცხვარეებისათვის - „დუქარდად" წოდებული) (**3**). 6. ახლადდაბადებული ბატკნის მატყლი (**5**). 7. თანხმოვანი ან ნახევართანხმოვანი, რომელმაც შეიძლება მარცვალი შექმნას (**9**). 8. სოფელი თელავის და საჩხერის რაიონებში (**6**). 9. ბიატლონის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი (**6**). 10. სოფელი გურჯაანის რაიონში (**4**). 11. შეზღუდული გონების და ფარისევლური ქცევის ადამიანი (**8**). 12. 60-70-იანი წწ ბაქოს „ნეფთჩისა" და ერევნის „არარატის" ფეხბურთელი, სსრკ ნაკრების წევრი (**7**). 13. რა ეწოდება ფიგურული სრიალის ოსტატთა სავალდებულო ვარჯიშთა პროგრამას? (**5**). 14. პირენეს მთების უმაღლესი მწვერვალი (**7**). 15. ერთდროს პოპულარული რომანი ალექსანდრ ჩაკოვსკისა (**7**). 16. ის, რაც ყველა მწერალს და ხელოვანს თავისი უნდა გააჩნდეს (**3**). 17. 1994 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი (**6**). 18. პროფესიის, სპეციალობის, მეურნეობის ძირითად დამახასიათებელ ნიშანთა ერთობლიობა (**4**). 19. დონ ჟუანი, ლოველასი, მუსუსი... კიდევ? (**2**). 20. როგორი სხდომების ჩატარება უყვარდათ ხოლმე კომუნისტობის დროს? (**6**). 21. ალპიური ყვავილი (**4**). 22. მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი და ცივილიზირებული სახელმწიფოს თვითსახელი (**5**). 23. მოძრავი სითხის ნაწილი (**2**). 24. ტკბილეულის წარმოების სპეციალისტი (**5**). 25. დადებითად დამუხტული ელექტროდი (**3**). 26. სურავანდის საწინააღმდეგო ვიტამინი, რომელიც, როგორც წესი, „მჟავასთან"ერთად კონტექსტში იხმარება (**10**). 27. პერსონაჟი გრიბოედოვის პიესისა „ვაი ჭკუისაგან" (**8**). 28. ნიკოლოზ შენგელაიას ფილმი (**5**). 29. ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფეხბურთელი თბილისის „დინამოს" ისტორიაში (**3**). 30. ერთგვარი ნარკოტიკული ნივთიერების გავრცელებული სახელი (**4**). 31. თილისმა, ავგაროზი, ანუ? (**6**). 32. ღვინის ნალექი, წამხდარი ყურძენი (საბა) (**7**). 33. ცნობილი ფრანგი მოგზური, რომელმაც თავისი სახელი ჩვენს ქალაქში სამუდამოდ დატოვა (**5**). 34. წყენის შემდეგ „დაგროვილი" ემოციური ენერგია (**1**). 35. ადამიანი - მკვდარი, ხე - როგორი? (**1**). 36. არასასიანოვნო სუნის მქონე ხებუჩქი (**3**). 37. ახლო წარსულის პოპულარული ფრანგული სათავგადასავლო-კომიკურ-ფანტასტიური ფილმი (**3**). 38. ვინ ეგონა საკუთარი თავი მამალს, როცა თანამოსაქმედ ძაღლი მიიწვია? (**4**). 39. „პოეტურად" ცნობილი მდინარე დასავლეთ საქართველოში (**3**). 40. ციური სხეული (**5**).

**01-50 ქულა -** დამწყები კროსვორდისტი

**51-90 ქულა -** მეორეთანრიგოსანი

**91-130 ქულა -** პირველთანრიგოსანი

**131-170 ქულა -** ოსტატი

**171-190 ქულა -** დიდოსტატი

**191-199 ქულა -** ბრავო, მაესტრო!

**200 ქულა -** კროსვორდი თქვენ შეადგინეთ?

*პასუხები იხილეთ მე-14 გვერდზე*

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

ფანტაზია 2000 44(199)

# *ფანტაზიის დიდოსტატები*

დასაწყისი
გასულ 2 ნომერში



ჰენრიხ შლიმანი

სოფია ენგასტრომენსზე გამიჯნურებულ შლიმანს არანაირი სატრფიალო პრობლემები არ დახვედრია წინ. მათ სულ მალე იქორწინეს და ამით სოფიას ისტორიაში ერგო შესვლა, ანუ მისმა მშობლებმა მიიღეს ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ის 150 000 ფრანკი, რასაც თავისი ქალიშვილის ხელისათვის ითხოვდნენ...

ასე რომ ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა: ახალგაზრდა ცოლი ყველაფერში უჯერებდა ჰენრიხს, დაჰყვებოდა მას მუზეუმებსა და ლექციებზე და ჰომეროსის სიყვარულში ეჯიბრებოდა მას. ახლა მათ წინ მხოლად ტროა ელოდათ, რომლის არსებობასაც პროფესიონალი მეცნიერები საკმაოდ სკეპტიკურად უმზერდნენ. შლიმანი-არქეოლოგის მთავარი ღირსება კი ეჭვების უქონლობა იყო, მას თითქმის რელიგიური რწმენა ჰქონდა თავისი სიმართლის მიმართ და უსაზღვრო, ბარბაროსული თვითდაჯერების კაცი იყო. იგი ბავშვობიდან ოცნებობდა ტროაზე!... - ესე იგი ის არსებობს და იგი აუცილებლად იპოვის მას - ამ რწმენით ცხოვრობდნენ მაშინ ცოლ-ქმარი.

წინასაძიებო სამზადისში შლიმანმა საკმაო რაოდენობით მოიმარაგა ინგლისური ნიჩბები და წერაქვები, საფრანგეთში საუკეთესო ურიკები შეუკვეთა მიწის გადასაზიდად და თურქეთში გაემგზავრა. იქ, ხმელთაშუა ზღვის პირას, გისარლიკის ბორცვის სიახლოვეს, მისი გათვლებით, ტროა უნდა ყოფილიყო. ხმელთაშუა ზღვის პაპანაქება სიცხე, რასაც შემოდგომის ცივი წვიმები ცვლიდნენ, კოღოები და შხამიანი გველები, ხარბი და უზრდელი მუშები, ქვების გროვა და თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, რის შესახებაც შლიმანს არაფერი გაეგებოდა... აი, ის სიძნელეები, რაც მაძიებელ ცოლქმარს დახვდა თურქეთში...

მაგრამ შლიმანი მაინც თხრიდა და თხრიდა... მას მხოლოდ ინტუიცია და ბავშვობისდროინდელი წარმოსახვები ამოძრავებდა - ტროა ვეება და დიადი ქალაქი უნდა ყოფილიყო... იგი კი რაღაც უბადრუკი ნასახლარების ნანგრევებს ხედავდა და გათხრები სულ უფრო და უფრო დაბლა ჩადიოდა... მუშები რაღაც დასახლების მაგვარს ნახულობდნენ, რომლებიც არაფრით ჰგავდა პრიამოსის სახელოვან ქალაქს. გათხრები გაგრძელდა მეორე წელსაც და მესამე წელსაც, სულ ქვემოთა ფენებში უკვე დიდი ზომის საძირკვლებიც გამოჩნდა, რასაც ხანძრის ნაკვალევი ეტყობოდა... და ერთ მშვენიერ დღეს შლიმანმა იპოვა საგანძური, რამაც მას სახელი გაუთქვა; საგანძური შენობის ნარჩენის კუთხეში იყო მიმალული და ამ ნანგრევს შლიმანმა მაშინვე „პროამოსის სახლი“ უწოდა.

ერთნახევარი კილოგრამი ოქრო, 24 მძივი, 6 სამაჯური, 870 ბეჭედი, 4066 გულსაბნევი, 600 გრამიანი ოქროს ბოთლი, ორი უმშვენიერესი დიადემა და კიდევ მრავალი სხვა სამშვენისი იყო ამ საგანძურში. ოსმალეთის სახელმწიფოსთან არსებული შეთანხმების თანახმად ამ საგანძურის ნახევარი მას თურქეთისათვის უნდა გადაეცა, მაგრამ შლიმანს არცკი უფიქრია ამის გაკეთება, მან და სოფიამ განძი საგულდაგულოდ დამალეს და ჩუმადვე გაიტანეს ევროპაში... ამაზე კარგი მტკიცება იმისა, რომ ტროა ნამდვილად აღმოჩენილ იქნა, ძნელი წარმოსადენიც კი იყო.

შლიმანი და მისი აღმოჩენა მთელი ევროპის სალაპარაკო თემად იქცა; რეპორტიორებმა სენსაცია ერთიორად გააბუქეს, მკითხველებმა დაიჯერეს ის ფაქტი, რომ ოცნებას შეუძლია ღატაკი ჭაბუკი უმდიდრეს ადამიანად აქციოს. ასე შეიქმნა მითი „Selfmademan“-ის ანუ მდაბიო კაცის შესახებ, რომელმაც ჭკუითა და ნებისყოფით ცხოვრების ყველა პრობლემა გადალახა. აჟიოტაჟი ძალას იკრებდა და შლიმანმა აქაც გამოიჩინა წინდახედულება - იმისათვის, რომ სარეკლამო ბუმი არ ჩამცხრალიყო, მან სპეციალური აგენტიც კი დაიქირავა, რომელიც „ფაბლიქ-რილეიშენზ“-ის პირველი სპეციალისტი აღმოჩნდა მსოფლიო ისტორიაში.

შლიმანის წარმატება არქეოლოგიის ტრიუმფად იქცა; ის თანდათანობით მოდური და პრესტიჟული მეცნიერება ხდებოდა. მთელ მსოფლიოში იზრდებოდა გათხრების დაფინანსებისათვის გამოყოფილი ხარჯები, არქეოლოგიის ფაკულტეტებზე კონკურსი გეომეტრიული პროგრესიით მატულობდა. შლიმანი, ვინც მცირე ხნის წინ უცნობ დილეტანტად ითვლებოდა, არქეოლოგიის მეტრი გახდა. მეორე წარმატებამ კი მისი ამგვარი რეპუტაცია კიდევ უფრო განამტკიცა. მალე მან მეორე საგანძურიც იპოვა, რომელსაც აგამემნონის სახელი მიაკუთვნა; მიკენეს მეფეთა საძვალიდან რამოდენიმე კილოგრამი ოქრო და ნაირგვარი სამკაულები იქნა ამოღებული, ამ ექსპონატებმა კიდევ უფრო გაამდიდრეს ათენის მუზეუმის ფონდი. შლიმანი საბერძნეთის ეროვნული გმირი გახდა, მისმა პოპულარობამ ფანტასტიური გაქანება მიიღო და ამიერიდან ყოველ აღმოჩენას მხოლოდ მის სახელს უკავშირებდნენ.



სოფია ენგასტრომენსი

არც სოფიამ დააკლო მცდელობა და მეუღლეს მშვენიერი შვილები გაუჩინა, რომლებსაც ძველბერძნული სახელები დაარქვეს (ანდრომაქე და მისთანანი). დილაობით ისინი მამას აივანზე გაჰყავდა და თაბაშირისგანა დამზადებული (მარმარილოზე ფული ვერ გაიმეტა) ქანდაკებების ფონზე ჰომეროსის სტრიქონებს უკითხავდა. ...და მთელი მსოფლიო აღტაცებული იყო შლიმანის პიროვნებით: ლონდონში იგი ხელში აყვანილი მიიყვანეს სადგურიდან სასტუმრომდე, გერმანიის კაიზერმა კი არჩევანის წინაშე დააყენა - მას შეეძლო მემკვიდრეობითი თავადაზნაურობა ან ბერლინის საპატიო მოქალაქეობა აერჩია... ყოველივე ამას ჰენრიხი აღიქვამდა, როგორც მისი შრომის ღირსეულ დაფასებას, მაგრამ თანდათან ეჭვებიც მოეძალა....

პროფესიონალ არქოლოგებს მისი ალღო და შეუპოვრობა არ გააჩნდათ, მაგრამ სამაგიეროდ თავისი საქმე იცოდნენ და სწორედ მათ დაასკვნეს, რომ სინამდვილეში ტროა იმ ფენებში იმყოფებოდა, რაც შლიმანმა თხარა და თხარა, სანამ „პრიამოსის სახლს“ მიაგნებდა. ეს უკანასკნელი მეფე პრიამოსის ცხოვრებამდე ასეულობით წლით ადრე იყო გადამალული უძველესი ქალაქის სამარხში. ნამდვილი ტროა კი სწორედ იმ უბადრუკი ნასახლარის შრეებში იყო, რომელსაც შლიმანი უყურადღებოდ ჩასცდა. „აგამემნონის განძიც“ ჰომეროსის გმირების სიცოცხლემდე რამოდენიმე საუკუნით ადრე უნდა ყოფილიყო შექმნილი და ჩამარხული.

შლიმანს მთელი მსოფლიო აღმერთებდა, ჭეშმარიტმა მეცნიერებამ კი მას ზურგი აქცია. გათხრები პროფესიონალმა არქეოლოგებმა განაგრძეს და შლიმანის მიერ გაწეული შრომა ბარბაროსობად მონათლეს.

შლიმანი სულ უფრო მარტოდ და მიტოვებულად გრძნობდა თავს, ამას ზედ დაერთო ისიც, რომ სოფია, რომელიც ახლა უკვე სახელოვანი ფრაუ შლიმანი გახლდათ, ქმრის მოსაწყენ ცხოვრებას გაექცა და ელიტარული ცხოვრების ცდუნებებში მთელი არსებით გადაეშვა... ჰენრიხს კი ცხოვრება ამაობელა მიაჩნდა და მხოლოდ იმით ინუგეშებდა თავს, რომ წუთისოფლის კაპრიზებს ზურგზე მოექცა და თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში საკუთარ ნებაზე მართავდა, მაგრამ ახლა შურისძიების დრო დადგა და წუთისოფელმაც არ გაუშვა თავისი შანსი:

* * *

1890 წლის 26 დეკემბერს ნეაპოლის ქუჩაში დაცემული წელში მოხრილი და დაჩიავებული მოხუცი ისე უბრალოდ იყო ჩაცმული, რომ გამვლელებმა იგი ღატაკთა საავადმყოფოში წაიყვანეს და შესასვლელთან, ბინძურ ქვაფენილზე მიატოვეს. მოხუცს არანაირი დოკუმენტი არ გააჩნდა და მორიგე ექიმმა იგი სადღაც კუთხეში, ხის საწოლზე მოათავსა; ავადმყოფი გონზე ვერ მოვიდა, საავადმყოფოს პერსონალი ზიზღით ვერ ეკარებოდა მას, არც არავის მოუკითხავს მისთვის, მაგრამ ერთ მშვენიერ დღის მისი გულის ჯიბიდან ორიოდე ოქროს მონეტა რომ გადმოვარდა ექიმები აჩოჩქოლდნენ და მოხუცის გაუცნობიერებელ ბოდვაში, სადაც იგი რაღაც გემის დაღუპვას, ყინულოვან წყალში ყოფნას, ამსტერდამში გატარებულ სიჭაბუკეს და ტროას ახსენებდა, რაღაც აზრი დალანდეს...

სწორედ იმ საღამოს გარდაიცვალა ეს უცნობი მოხუცი და... მთელ მსოფლიოს სენსაციად მოედო ის ამბავი, რომ დიდი ჰენრიხ შლიმანი ნეაპოლის საავადმყოფოში გარდაიცვალა, როგორც ვინმე ბოგანო და მიუსაფარი...



**თარაზულად:** 1. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა შილერის ლექსში:

„კაცის სიცოცხლე არის წამება,
თუ მას არა სწამს სიტყვა ...... (რა?)“

4. ასურეთის მეფე ჩვ.წ.აღ-მდე 1280-1260 წლებში. 9. ფიფას ერთ-ერთი ექს-პრეზიდენტთაგანი. 17. სახელწოდება შენობისა, რომელსაც ერთ ევროპულ ქალაქში მწვანე მუზა „დარაჯობს“? 18. პერსონაჟი თენგიზ აბულაძის ფილმისა „მონანიება“. 19. პოლონური ცეკვა. 22. როგორი ეწოდება სიდიდეს მათემატიკაში, რომლის შემადგენელი ნაწილების შეკრებითაც ვღებულობთ ამავე სიდიდეს? 23. XIX ს მოღვაწე პოლონელი ფერმწერი, იან.... 24. როგორი ანგელოზი არსებობს ქართულ კინემატოგრაფში? 28. სანაოსნოდ გამოსადეგი წყლის სივრცე. 29. თანამედროვე ჰოლივუდელი მსახიობი, უპირატესად მძაფრსიუჟეტიანი ფილმებიდან. 30. საფრანგეთის რესპუბლიკური კალენდრის მერვე თვე. 34. ვალიკო მიზანდარის მშობლიური ქალაქი. 35. XIX საუკუნეში მოღვაწე რუსი თერაპევტი, რომლის გვარითაც ზოგჯერ ერთ დაავადებას მოიხსენიებენ ხოლმე. 36. როგორი მცენარეა იელი? 37. კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი. 42. რა დღესასწაული აღინიშნება ჩვენში ყოველწლიურად ოქტომბრის ბოლო კვირას? 43. გზის საფარი. 44. ნაპირების რეცხვა ზღვის მიქცევისა და მოქცევის შედეგად. 45. ძაღლის სახელი ერთი ცნობილი ქართული ფილმიდან. 50. ლათინური ასო, რომელიც აბსცისა ღერძის ასაღნიშნად გამოიყენება მათემატიკაში. 51. რუსი მეიგავე. 52. ქალაქი და პორტი ინდოეთში. 53. ალექსანდრე ფლემინგის მიერ შექმნილი პირველი ანტიბიოტიკი. 57. ჭურჭლის ფორმისებურად მოხრილი ხელის მტევანი. 58. ვინ არის ონორე დე ბალზაკისეული ქირურგი დეპლენი ერთ ცნობილ მოთხრობაში? (ეს სიტყვა ამ ნაწარმოების სათაურშივე ფიგურირებს) 59. კოშკის ან კედლის ძველებური საათი. 60. რა ჰქვია ან და სერჟ გოლონების მიერ შექმნილ ლიტერატურულ პერსონაჟს, გრაფ დე პეირაკს? 65. განმარტოება-გამოცალკევების აღმნიშვნელი დამხმარე სიტყვა. 66. მათემატიკური ოპერაცია, რომელიც ყოველ ჩვენთაგანს აქვს ნასწავლი სკოლაში. 67. პერსონაჟი მულტფილმისა „მტრობა“... (აი, ის რომელსაც კლავენ). 68. აჯანყება-ამბოხების აღმნიშვნელი სიტყვა. 73. რუსი მეცნიერი და გამომგონებელი, თანამედროვე კოსმონავტიკის მამამთავარი. 74. დიდი უდაბნო ჩილეს ჩრდილოეთში. 75. ვინ იყო ვიქტორ ჰიუგო ლიტერატურული მიმდინარეობით? 79. ყველა ჩვენთაგანის უკანასკნელი „ბინა“ (...ასი წლის შემდეგ). 80. ერთი ოსკარის მფლობელი ფილმის სეხნია – მუსიკალური ინსტრუმენტი. 81. ტანდაბალი ადამიანების დასახასიათებლად ხმარებული ერთი მწვანილი ტუჩოსანთა ოჯახიდან. 82. რა ჰქვია თანამედროვე კანადელ ტოპ-მოდელს, გვარად უორენს? 87. სულხან-საბასეული პერსონაჟი „სიბრძნის სიცრუიდან“. 88. ქრისტიანთა ღვთის სადიდებელი შეძახილი. 89. ლირიკული პოეზიის და მუსიკის მუზა ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში. 90. შავიზღვისპირა კურორტი ყირიმის ნახევარკუნძულზე. 91. რა ჰქვია ტარზანის გამზრდელ მაიმუნს ედგარ რაის ბეროუზის რომანებში? 96. ბზის საზიდარი ურემი (საბა). 97. მაგარი და შავი მერქნის მქონე ტროპიკული ხე, თუნდაც ჯონ ფაულზის ცნობილი რომანის სათაურიდან. 98. რა არის ერთი იუმორისტის აზრით „კიტრი, რომელსაც სიყვარულში არ გაუმართლა“? 99. თანამედროვე არგენტინელი ფეხბურთელი. 103. სიტყვა, რომელიც აღნიშნავს ხელოვნებისა და ოსტატობის უდიდეს მიღწევას. 104. რა ჰქვია პრეფერანსში ერთი და იგივე მასტის ქალს და პაპას? 105. სიგრძის საზომი საზღვაო ერთეული,უდრის 185,2 მეტრს. 110. **იხილეთ ფოტო**. 111. ბალახით დაფარული სივრცე. 112. მოკლე შენიშვნა სასამართლო პროცესზე და მსახიობის მოკლე გამონათქვამი სცენაზე. 113. დევიდ ჯერომ სელინჯერისათვის მეტად მახლობელი სასოფლო-სამეურნეო მარცვლოვანი კულტურა. 118. ქალაქ ვოლგოგრადის ყოფილი სახელი. 119. ქვეყანაში საქონლის ექსპორტ-იმპორტის აკრძალვა. 120. XIX ს ინგლისელი გამომგონებელი, სტოქტონსა და დარლინგტონს შორის პირველი სარკინიგზო ლიანდაგის და პირველი ორთქლმავალის შემქმნელი. 124. ფრანგული წარმოების ავტომობილი. 125. ის, რისი ჭამითაც მოკვდა (...როგორც ამბობენ) თარაზული№ 51-ი. 126. ზიგმუნდ ფროიდი წერდა, რომ ადამიანის გონება არის არაცნობიერის დიდი ოკეანე, რომლის შუაგულშიც მოთავსებულია კუნძული, რომელსაც ჰქვია... (რა?). 127. რა ჰქვია იუსტიციის მინისტრს აშშ-ში? 128. ავტორი ძველი აღთქმისეული „ხუთწიგნეულისა“. 133. მოქმედების ან ქცევის თავისებურება. 134. ინგლისურად ამ ჩიტს **chaffinch** ჰქვია, რუსულად – **зяблик**... ჩვენებურად რა?. 135. რა ჰქვია ტვინში სისხლის მიმოქცევის მკვეთრ დარღვევას? 136. სანთლების დასამზადებლად ხმარებადი, თეთრი ფერის მაგარი ცხიმოვანი ნივთიერება. 140. ჩერნოგორიის ახლანდელი დედაქალაქის, პოდგორიცას სახელწოდება 1952-1992 წლებში. 141. ძალზე უცნაური, მისტიური ხასიათის მოვლენა. 142. რა ჰქვია თირკმელების ანთებას? 147. XVIII ს სლოვენი განმანათლებელი, დრამატურგი და ისტორიკოსი, ანტონ.... 148. „.........(რა?) – ეს არის რომანი რომლისაც სჯერათ, რომანი – ეს არის .......(რა?) რომლისაც არ სჯერათ“. რომელი ერთი და იგივე სიტყვაა გამოტოვებული ერთი მოაზროვნის ამ აფორიზმში? 149. რა ერქვა ინგლისის დედაფლის, ვიქტორიას ქმარს, რომლის დამკვიდრებული ტრადიციის გამოც თითოეული ჩვენთაგანი ნაძვის ხესთან ერთად ეგებება ახალ წელს. 150. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში. 155. იშვიათი და ძველი წიგნებით მოვაჭრე პირი. 156. რა ჰქვია პირს სასამართლო პროცესზე, რომელსაც ბრალად ედება ჩადენილი დანაშაული? 157. საუკუნის დასაწყისის საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, მრავალგზის პრემიერ-მინისტრი, ჟორჟ.... 161. ამ ბოლო დროს პოპულარული „ტყუპი“ შოკოლადი. 162. მოკლე საჭადრაკო ტურნირი. 163. შემოღობილი ადგილი ზოოპარკში. 164. რა მოკლა ჭრიჭინამ? 165. მუსიკალური ნაწარმოების ნაწილი. 166. ცალკეულ საზოგადოებათა, ორგანიზაციათა კავშირი. 167. რა ერქვა სასახლის კარისკაცთა ჯგუფს ესპანეთში, რომელიც თავისი ინტრიგებით გავლენას ახდენთა სახელმწიფო საქმეებზე? 168. პერსონაჟი პიესია „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწილეს“.



**შვეულად:** 1. სახელმწიფო ევროპაში. 2. ქალაქი და პორტი შვედეთში, ერესუნის სრუტესთან. 3. ანსამბლ „ორერა - 2000“-ის ჩამომყალიბებელი (გვარი). 5. ქართული პრესის ორგანო. 6. ხმელეთის ზოოგეოგრაფიული დანაყოფი, რომელიც მოიცავს სამხრ. და ცენტრ. ამერიკას. 7. რუსული **бойня**-ს ქართული შესატყვისი (ამ სიტყვამ ბარბარიზმი – „ბოინი“ – წარმოშვა). 8. რითმული ამერიკული პოეზია, ანუ.... 10. თანამედროვე იტალიელი ფეხბურთელი (მეკარე), ანჯელო.... 11. როგორი შეიძლება იყოს მდუმარე პირი? 12. საერთო დონეზე გადაყვანა, ანუ.... 13. (.....) ნამინი, რუსი მომღერალი. 14. გიორგი სააკაძის ტიტული. 15. როგორი შეიძლება იყოს სიკვდილი? 16. ოლქი ჩრდ. იტალიაში. 20. ხელოვნების, მეცნიერების და სპორტის დამაკავშირებელი თამაში. 21. ეთიოპიის დედაქალაქი (ტირეს გარეშე). 25. „ხმელთაშუაზღვის შუქურად“ წოდებული ვულკანი ევროპაში. 26. როგორი შეიძლება იყოს დიდად თავაზიანი და ზრდილობიანი მამაკაცი? 27. სხვადასხვა ქვეყნებში სამსახურეობრივი მიზნით მოგზაური მსახიობი. 31. რა ერქვა უილიამ შექსპირის ხის თეატრს... რომელიც შემდგომში დაიწვა. 32. ვისია საქართველო ერთი საბავშვო სიმღერის თანახმად? 33. პტოლემეუსის უმთავრესი შრომა. 38. ქალაქი ჩეხეთში, მდინარე ოდრაზე. 39. ვულკანური წარმოშობის ქანი. 40. რა ჰქვია ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში დელფოს მისან ქალს? 41. ყოველგვარი ომის მოწინააღმდეგე პირი. 46. თითქმის ყოველი ადამიანისათვის დამახასიათებელი (..სხვადასხვა დოზით) მანკიერი თვისება. 47. ოფიციალური ხელწერილი ფულის მიღების შესახებ. 48. ზღვაში ჩამავალი მდინარის გაფართოებული შესართავი. 49. მეტეოროლოგიური პირობების მკვლევარი პირი. 54. საგმირო, ანუ.... 55. მგალობელი ჩიტი რაფაელის ერთი შედევრიდან... 56. კროსვორდის ერთ-ერთი სახესხვაობა. 61. მონაცრისფრო ჩიტი ბეღურასებრთა ოჯახიდან. 62. შექსპირისეული „მაკბეტის“ პერსონაჟი. 63. რომელი ხილი არ იცის ვირმა „თუ რა ხილია“? 64. ორთა კავშირის სახესხვაობა. 69. ყვავილი. 70. ყველაზე დიდი კუნძული იაპონიის კუთვნილ რიუკიუს არქიპელაგში. 71. საგანგებოდ გამოყვანილი ტყავი... ბალზაკის რომანიდან. 72. როგორია მშვენიერების შემცველი რამ? 76. ქართლის მეფე წმინდა ნინოს მოღვაწეობის დროს. 77. შაქრიან წყალში მოხარშული ხილი. 78. ესპანეთის შემადგენელი ნაწილი. 83. ვინ იყო გუსტავ დორე, ანუ მორის კორნელიუს ეშერი? 84. ავტორი „მადამ ბოვარისა“. 85. ფრანგი პოეტი, პიერ ჟან.... (1780-1857). 86. რა უნდა დალიო თუ გინდა, რომ **NBA**-ს მოთამაშე ბირთვულ რეაქტორს მართავდეს? 92. უსასრულოდ მცირე ნაწილების ჯამისაგან შემდგარი მთელი სიდიდე მათემატიკაში. 93. ღმერთების საცხოვრებელი ადგილი სკანდინავიურ მითოლოგიაში. 94. ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყანა აზიაში. 95. როგორი ხეა ნაძვი? 100. ერთად მომუშავე ადამიანები რაიმე ორგანიზაციისათვის. 101. ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი. 102. XVI ს მოღვაწე სახელგანთქმული ფლამანდელი კარტოგრაფი. 106. რუსი მოთხილამურე ქალი, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი. 107. წითელი ფერის, მომჟავო-მოტკბო, კურკიანი ნაყოფის მქონე დაბალი ბუჩქი. 108. მომჟავო-მომწარო გემოს მქონე მწკლარტე ღვინის სახელი. 109. რა აქვს ანდალუზიას ესპანეთში? 114. გერმანელი მათემატიკოსი, ლეოპოლდ... (1823-1891). 115. ნახშირმჟავა მარილის სახელი. 116. ადოლფ ჰიტლერის სამხედრო წოდება. 117. რომის იმპერატორი I საუკუნეში. 121. კანონსაწინააღმდეგო ქმედება. 122. წვნიანი ხილის გაწურვის შედეგად დარჩენილი კანის სახელი. 123. რა არის ტეხასი? 129. ძველი და ფასეული დოკუმენტების მფლობელი და შემნახველი პირი. 130. არტურ კონან-დოილის აზრით *ეს* საუკეთესო ძილისწამალია თუ სუფთაა... რა არის *ეს*? 131. მინერალი, ალუმინისა და ბორის სილიკატი... განეკუთვნება ძვირფას ქვებს და გამოიყენება ზოგი ზუსტი ხელსაწყოს დასამზადებლად რადიოტექნიკაში. 132. უსიტყვო თეატრალური წარმოდგენა. 137. პერსონაჟი ფილმისა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. 138. რუსი მწერალი, იოსიფ... (1902-1988). 139. კაპიტალიდან შემოსული რეგულარული შემოსავალი. 143. დიაბეტის საწინააღმდეგო პრეპარატი, მისი სახელი შექმნა ლათინურმა სიტყვამ, რომლის ქართული თარგმანიც ნიშნავს „კუნძულს“. 144. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა:

„იყო არაბეთს როსტევან. მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი,
მოსამართლე და მოწყალე, .............. , განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი“.

145. მიხაილ ბულგაკოვისეული „ოსტატი და მარგარიტას“ თავწაცლილი პერსონაჟის – ერთი ფრანგი კომპოზიტორის სეხნიის – გვარი. 146. რვიანის მოყვანილობის მქონე ფუნთუშა. 151. მხატვრის და ფოტოგრაფის სამუშაო სივრცე. 152. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი. 153. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა. 154. სახელმწიფო ევროპაში, სადაც წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჟაკ-ივ კუსტო. 158. ვულკანი სიცილიაზე. 159. ინექცია, ანუ.... 160. რა შეიქმს სიყვარულს?



# საკროსვორდო ენციკლოპედია

**ბათისფერო** - წყალქვეშა დაკვირვებისათვის განკუთვნილი ფოლადის სფერული კამერა.
**ბათმანი** - მარცვლეულის საწყაო ერთეული.
**ბათოლითი** - სიღრმული მაგმური ქანების განლაგების ფორმა.
**ბათომეტრი** - ამა თუ იმ სიღრმიდან ამოღებული წყლის სინჯის საკვლევი ხელსაწყო.
**ბათოქრომები** - ატომთა ჯგუფები, რომლების არსებობაც ორგანული საღებრის მოლეკულაში „აღრმავებს“ მის ფერს.
**ბათო-ყაენი** - XIII ს მონღოლი ხანი.
**ბათუმი** - ქალაქი საქართველოში.
**ბათქაბუთქი** - თოფისა თუ ზარბაზნის ზედიზედ სროლის ხმა.
**ბათქაში** - წყალში გახსნილი გაჯი ან სილისა და კირის ნარევი.
**ბათქი** - თოფის, ზარბაზნისა და მისთ. ხმა.
**ბაი** ამურ ოგიუსტ ლუი ჟოზეფ - XIX-XX სს ფრანგი არქეოლოგი.
**ბაი** - ტბა კუნძ. ლუსონზე, ფილიპინები.
**ბაი** - იუნანის პროვინციაში (ჩინეთი) მცხ. ხალხი.
**ბაია** - ერთგვარი ბალახი.
**ბაია** - თვალის გუგა.
**ბაია** - ჩვილი ბავშვი.
**ბაია** - ქალაქი უნგრეთში.
**ბაია** - ბრაზილიის ქალაქი და შტატი.
**ბაია-ბლანკა** - ქალაქი არგენტინაში, ბუენოსაირესის პროვინცია.
**ბაიადერა** - ინდოელი მოცეკვავე ქალების სახელი ევროპაში.
**ბაიადერა** - იმრე კალმანის ოპერეტა.
**ბაიაზიდ I** ილდირიმ - XIV-XV სს ოსმალეთის სულთანი.
**ბაიაზიდი** - თურქეთის ქალაქ დოღუბაის ძვ. სახელი.
**ბაიათი** - აღმოსავლური ცალხმიანი ჰანგი.
**ბაიათი** აბდ ალ-ვაჰაბ - XX ს არაბი პოეტი (ერაყი).
**ბაია-მარე** - ქალაქი რუმინეთში.
**ბაიამო** - ქალაქი კუბაში, გრანმის პროვინცია.
**ბაიანი** - რუსული მუს. ინსტრუმენტი, რომლის სახელი ლეგენდარული რუსი მუსიკოსის სახელიდან შეიქმნა.
**ბაიან-ხონგორი** - ქალაქი მონღოლეთში.
**ბაიარი** მაჰმუდ ჯელალ - XX ს თურქეთის სახ მოღვაწე.
**ბაიასებრნი** - ორლებნიან მცენარეთა ოჯახი.
**ბაიბუად** აგდებს - არაფრად აგდებს, ანგარიშს არ უწევს.
**ბაიბური** - სრული სიჩუმე.
**ბაიდარა** - სპორტული ნავი, რომელიც ჩუქჩებისა და ესკიმოსების ყოფიდან იქნა აღებული.
**ბაიდარაგ-გოლი** - მდინარე მონღოლეთში.
**ბაიდარი** (წყალთაშუა) - ისტ. მხარე ქვემო ქართლში.
**ბაიდარი** - სოფელი მარნეულის რ.
**ბაიდუკოვი** გიორგი - ავიაციის გენ.-პოლკოვნიკი, სსრკ გმირი.
**ბაიე** - ქალაქი ჩრდ.-დას. საფრანგეთში.
**ბაიერი** - გერმანიის ქიმ. კომპანია, დაარსებულია 1863 წ.
**ბაიერი** ადოლფ - XIX-XX სს გერმან. ქიმიკოსი.
**ბაიერი** იოჰან იაკობ - გოტლიბ ზიგფრიდ - XVIII ს გერმან. ისტორიკოსი და ფილოლოგი.
**ბაიერი** ფრანკ - გერმან. კინორეჟისორი.
**ბაიერნი** ფრიდრიხ - XIX ს ავსტრიელი არქეოლოგი.
**ბაიერნი** - გერმანიის საფეხბურთო კლუბი.
**ბაითალმანი** - ოხერი, უპატრონო.
**ბაითალო** - სოფელი მარნეულის რ.
**ბაით-ელ-ფაკიჰი** - ქალაქი იემენის არაბთა რესპუბლიკაში.
**ბაითი** (ბეითი) - არაბული ლექსის სტრიქონი.
**ბაითი** - სახლი (ქარგ.).
**ბაითოუშანი** (პექტუსანი) - მოქმედი ვულკანი ჩანბაიშანის ზეგანზე (ჩინეთი).
**ბაიი** ჟან სილვენ - XVIII ს საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე.
**ბაიკა** - ბამბის ხაოიანი რბილი ქსოვილი.
**ბაიკალი** - ტბა რუსეთის ციმბირულ ნაწილში.
**ბაიკალისპირეთი** - ბაიკალის ტბის მიმდებარე ტერიტორია.
**ბაიკალსკი** - ქალაქი ირკუტსკის ოლქში (რუსეთი).
**ბაიკონური** - კოსმოდრომი ყაზახეთში.
**ბაილადილა** - ინდოეთის (მადჰია-პრადეშის შტატი) დიდი სამთამადნო რეგიონი.
**ბაილაყანი** - შუა საუკ. ქალაქი მტკვრის და არაქსის შესართავთან.
**ბაილეთი** - სოფელი ოზურგეთის რ.
**ბაილენი** - ქალაქი ესპანეთში, ხაენის პროვ.
**ბაილოტი** - კუნძული კანადის არქტიკულ არქიპელაგში.
**ბაილშტაინი** ფრიდრიხ - XIX-XX ს გერმან. ქიმიკოსი, მოღვაწეობდა პეტერბურგში.
**ბაიმაკი** - ქალაქი ბაშკირეთში (რუსეთი).
**ბაიმლერი** ჰანს - ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი გერმ. კომუნისტი.
**ბაინდური** არაგვის ერისთავი - XVIII ს II ნახ. მოღვაწე ერეკლე მეორის კარზე.
**ბაიოკო** - რომის პაპის ხურდა ფული ძველ იტალიაში.
**ბაიონეტი** - ცივი იარაღი, თოფის ლულაზე წამოსაცმელი ხიშტის წინამორბედი.
**ბაიონი** - ქალაქი საფრანგეთში, ატლანტის პირენეს დეპარტამენტი.
**ბაიორი** გიზი - უნგრელი მსახიობი ქალი.
**ბაირამ-ალი** - ქალაქი თურქმენეთში.
**ბაირამი** - მაჰმადიანთა დღესასწაული.
**ბაირაქთარი** მუსტაფა-ფაშა - XVIII-XIX სს ოსმალეთის სახ. მოღვაწე.
**ბაირაღი** - იგივე დროშა.
**ბაირახტარი** - მედროშე.
**ბაირკი** - სახელმწიფო კირიბატის დედაქალაქი.
**ბაიროითი** - ქალაქი გერმანიაში, ბავარიის მხარე.
**ბაირონი** ჯორჯ ნოელ გორდონ - XVIII-XIX სს დიდი ინგლისელი პოეტი-რომანტიკოსი.
**ბაირონი** ჯონ - XVIII ს ინგლისელი ზღვაოსანი.
**ბაირონი** - კონცხი, ავსტრალია.
**ბაისუბანი** - სოფელი ლაგოდეხის რ.
**ბაისუნი** - ქალაქი უზბეკეთში, სურხანდარინის ოლქში.
**ბაიტი** - ინფორმაციის რაოდენობის საზომი ერთეული მისი შენახვისას.
**ბაიტილოსი** - წმინდა ქვა ძვ. საბერძნეთში, თილისმა.
**ბაიფი** ჟან ანტუან დე - XVI ს ფრანგი პოეტი.
**ბაიყუში** - 1) დიდი ბუ. 2) უჟმური ადამიანი.
**ბაიშუ-ალენტეჟუ** - პორტუგალიის ისტ. პროვინცია.
**ბაიჩი-ჟილინსკი** ენდრე - XX ს უნგრეთის პოლიტ. მოღვაწე.
**ბაი-ძე** - ჩინურ მითოლოგიაში ყოვლისმცოდნე არსება.
**ბაიხაოს** ჩაი - ფხვიერი დაგრეხილი ჩაი.
**ბაიხე** - მდ. ხაიხეს ერთ-ერთი მდგენელი (ჩინეთი).
**ბაიხო** - VI ს ძეგლი, სამების ტაძარი, სამკლესიანი ბაზილიკის სტილის ნაგებობა სოფ. ოქიოსთან (ახმეტის რ).
**ბაი-ხუ** - ჩინურ მითოლოგიაში მიცვალებულთა ქვეყნის მცველი სული.
**ბაკა** იუზეფ - XVIII ს პოლონელი პოეტი.
**ბაკალავრი** - პირველი სამეცნიერო ხარსიხი.
**ბაკალეა** - ზოგიერთი სასურსათო და სამეურნეო საქონლის გაერთიანებული ჯგუფი.
**ბაკალი** - ქალაქი ჩელიაბინსკის ოლქში (რუსეთი).
**ბაკანი** - კუს ზურგის რქოვანი ფარი.
**ბაკარა** - საუკეთესო ხარისხის ბროლი.
**ბაკარა** - ბანქოს აზარტული თამაში.
**ბაკასირი** ალი აჰმედ - XX ს ეგვიპტელი დრამატურგი და მწერალი.
**ბაკატინი** ვადიმ - XX ს დასალიერის რუსი პოლიტ. მოღვაწე.
**ბაკბო** - ვიეტნამის ჩრდ. ნაწილის სახელი.
**ბაკბო** - სამხრ. ჩინეთის ზღვის ყურე.
**ბაკელიტი** - ხელოვნური ფისი.
**ბაკემა** იაკობ - XX ს ნიდერლანდელი არქიტექტორი.
**ბაკენბარდი** - ლოყებზე დატოვებული და ნიკაპზე ამოპარსული წვერი.
**ბაკენი** - გემის სავალ გზაზე სანავიგაციო საფრთხის აღმნიშვნელი ან ფარვატერის შემოსაღობი ნიშანი.
**ბაკეუ** - ქალაქი და ჟუდეცი აღმ. რუმინეთში.
**ბაკვე** - ლიბერიაში მცხ. ხალხი.
**ბაკი** - მოკლედ შეკრეჭილი ბაკენბარდი.
**ბაკი** ზენონ მარსელ - XX ს ბელგიელი ფიზიოლოგი-ფარმაკოლოგი
**ბაკი** მაჰმუდ აბდულბაკი - XVI ს თურქი პოეტი.
**ბაკი** პერლ - XX ს ამერიკელი მწერალი ქალი.
**ბაკი** - რქოსანი საქონლის სადგომი.
**ბაკი** - ავზი.
**ბაკიბუკი** - მაგარ საგნებზე სიარული.
**ბაკინგემი** ჯორჯ ვილერზ - XVII ს ინგლისის სახ. მოღვაწე.
**ბაკინგემშირი** - საგრაფო ინგლისში.
**ბაკლა** - მსხვილი ცერცვი.
**ბაკლანოვი** გრიგორი - XX ს რუსი მწერალი.
**ბაკლანოვკა** (ააფსთა) - მდინარე გუდაუთის რ.
**ბაკლუნდი** ოსკარ - XIX-XX სს რუსი ასტრონომი.
**ბაკმი** - მკრთალი შუქის რკალი მთვარის ირგვლივ.
**ბაკო** - სოფელი ხულოს რ.
**ბაკოვია** ჯორჯე - XX ს რუმინელი პოეტი.
**ბაკოლოდი** - ქალაქი და ნავსადგური ფილიპინებზე.
**ბაკომო** (ბაბირა) - ზაირში მცხ. ხალხი.
**ბაკონგო** - ზაირში მცხ. ხალხი.
**ბაკონი** - მთის მასივი უნგრეთში.
**ბაკონჯო** - ზაირში მცხ. ხალხი.
**ბაკოტა** - კონგოში მცხ. ხალხი.
**ბაკუბა** - ზაირში მცხ. ხალხი.
**ბაკუნი** - გაბმული ბაკიბუკი.
**ბაკუნიზმი** - ანარქისტული მიმდინარეობა მუშათა მოძრაობაში.
**ბაკუნინი** მიხეილი - რუსი რევოლუციონერი-ანარქისტი.
**ბაკუნცი** აქსელ - XX ს სომეხი მწერალი.
**ბაკურაძე** ალექსანდრე - ფიზიოლოგი.
**ბაკური** - საქართველოს რამდენიმე მეფის სახელი.
**ბაკურიანი** - ტაოს ერისთავთერისთავი XI ს
**ბაკურიანი** - საკურორტო დაბა ბორჯომის რ
**ბაკურციხე** - სოფელი გურჯაანის რ
**ბაკურხევი** - მდინარე და სოფელი დუშეთის რ
**ბაკუფუ** - სიოგუნების სამი დინასტიის მთავრობა შუა სს იაპონიაში.
**ბაკქანალია** - 1. ღვინისა და ლხინის ღმერთის ღღეობა ძვ. საბერძნეთში. 2. თავაშვებული დროსტარება, ორგია.
**ბაკქეი** - ანტიკურ ლექსთწყობაში 5 მორისაგან შედგენილი ლექსი.
**ბაკქი** - ბერძნ. მითოლოგიაში იგივეა, რაც დიონისე.
**ბაკქილიდე** - ძვ.წ. V ს ბერძენი პოეტი.
**ბაკხი** - უღელტეხილი სვანეთის ქედის ჩრდ.-დას. განშტოებაზე.

(363, სულ 4685)

# მეშვიდე გვერდის კროსვორდის კითხვები

**თარაზულად**: 1. თარგმნეთ ქართულად პოლ ნიუმანის გვარი. 5. საალერსო მიმართვა ქართულ ენაში. 9. მუყაოსაგან გაკეთებული სურათის ჩარჩო. 15. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის პრეს-სამსახურის უფროსი. 16. ტკივილის შეგრძნების დაკარგვა. 17. ფერფლი ანუ რა? 20. რა არის თავისი არსით აკვედუკი? 21. წყალში გახსნილი ჭიანჭველ-ალდეჰიდი, სადეზინფექციო საშუალება. 22. მე-19 ს. რუსი პოეტი, რომელმაც სულ რაღაც 22 წელი იცოცხლა, დიმიტრი ვლადიმერის ძე.... 25. ტყის ყაჩაღი, იორდასალამი ანუ რა? 26. ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ 2002 წელს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდება. 27. ყველაზე მაღლა მდებარე ტბა ანდებში. 31. ბილიარდის წითელი ბურთი. 32. ინგლისის პრემიერ-მინისტრი (სახელი და გვარი). 33. ამერიკელი კინოვარსკვლავი ქალი (გაიხსენეთ „ცისფერი ლაგუნა“). 37. ფრჩხილის ბუდის ანთება. 38. მეშჩანი, ობივატელი ადამიანი. 39. თითბრის როდინი. 43. სახელი, რომლითაც ახლობლები მიმართავდნენ იაკობ ტრიპოლსკის. 44. ცხოველის ან ადამიანის ჩანასახის შემაერთებელი ქსოვილი მისი განვითარების ადრეულ საფეხურზე. 45. მედიცინის ნაწილი. 49. XIX-XXსს. ფრანგი პოეტი, რომლის ნამდვილი გვარია კოსტროვიცკი. 50. ქრისტიანული ეკლესიის მიერ სხვა რჯულის მორწმუნეების მოსაქცევად უცხოეთში წარგზავნილი მქადაგებელი. 51. ზესტაფონის ღირსშესანიშნაობა. 55. სოფელი თეთრი წყაროს რაიონში. 56. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში. 57. ლექსები ეპიგრამებისა და აფორიზმების სახით, რომელთა ავტორად ითვლება რომაელი პოეტი მარციალისი. 60. მოსკოვის ერთ-ერთი რაიონი. 61. უსქესო ან ვეგეტატიური გამრავლება, რომლის დროსაც შთამომავლობას აქვს იგივე გენეტიკური კოდი, რაც მის წინაპარს. 62. რა ჰქვია საფრანგეთის ელჩს საქართველოში ქალბატონ მიუსოს? 67. დამამცირებელი სიტყვა, რომლითაც ხშირად კნეინები მიმართავდნენ მოახლე გოგონებს. 68. გახეხილი ნუშისაგან, ნიგვზისა ან გარგარის გულისაგან დამზადებული საკონდიტრო ნაწარმი. 69. კოლინ მაკალოუს რომანის მთავარი პერსონაჟის, მეგის გვარი. 70. გორის რაიონის სოფელი, რომელიც ცნობილი გახდა ერთი სიმღერის შემდეგ. 74. უკრაინაში, სახლხო კრება. 75. ლატარიის ბილეთების ნომრების გასათამაშებელი მოწყობილობა. 76. მუქხაზებიანი ქაღალდის ფურცელი, რომელიც გამოიყენება სტრიქონთა სისწორის დასაცავად. 79. ფსიქოლოგიური მიმდინარეობა, რომელიც ადამიანის ქცევის მთავარ მამოძრაველ ძალად ბიოლოგიურ ინსტინქტებს მიიჩნევს. 80. ვინ იყო მღვდელი გიორგი გაპონი თავისი მოქმედებით? 84. გლაზუნოვის ბალეტი. 85. რა იყო თავისი არსით კომუნიზმის პიკი. 86.ასეთი სახელმწიფო სულ სამია, ორი ევროპაში და ერთი აფრიკაში. 90. ქართველებით დასახლებული რეგიონი ირანში. 91. დიაგნოსტიკის მიზნით ორგანიზმში შეყვანილი რადიოაქტიური პრეპარატების განაწილების გამოკვლევა. 92. რა ჰქვია ახლა ბირმას? 96. რომაულ მითოლოგიაში ახალგაზრდობის, სილამაზისა და მხიარულების ქალღმერთების სახელწოდება (მხოლ. რიცხ.). 97. როგორი მმართველობის ფორმაა ვატიკანში?. 98. სიტყვა, რაც ბერძნულად ცეკვას ნიშნავს. 99. სიტყვა, რომელიც რაიმე მოქმედების დასრულებაზე მიგვითითებს. 103. უბნების სახელწოდება, სადაც ჰიტლერმა ებრაელები დაასახლა. 104. მე-20 ს რუსი მწერალი ილია.... 105. რა სპეციალისტია ტიტესტერი? 109. თბოიზოლაციაში გამოყენებული აზბესტის ბოჭკოსგან დამზადებული მასალა. 110. *ისევ ბილიარდი*: რა ჰქვია ყვითელ ბურთს? 114. რა სჭირდება ყველა ადამიანს, რომ დაიმკვიდროს თავისი ადგილი საზოგადოებაში. 115. ბერძნ. მითოლ. გრძნეული ქალი, რომელმაც ოდისევსი თანამგზავრებიანად ღორებად აქცია. 116. თაოსნობა რაიმე საქმეში. 117. გერმანელი ქიმიკოსის ლიბიხის მიერ აღმოჩენილი მოვლენა, თუმცა მას ეს სახელი შვედმა ბერცელიუსმა უწოდა. 118. ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილებისთვის კანონიერი უფლებების მინიჭება. 119. იუგოსლაველი ფეხბურთელი (......) მიხაილოვიჩი.





**შვეულად**: 1. მსოფლიოს ჩემპიონი მამაკაცთა შორის ჭადრაკში, რომელიც პარიზში დაუმარცხებელი გარდაიცვალა დაფასთან. 2. ქრისტიანული ბაზილიკის ნაგებობაში ნახევრად გამოწეული ნაწილი. 3. ზოდიაქოს ნიშანი. 4. ერთ შინაურ ცხოველთან დაკავშირებული სპორტის სახეობა. 6. რომაულ მითოლოგიაში: მკურნალობის ღმერთი. 7. გახსოვთ იულიუს კეისრის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა სენატს პონტოს მეფე ფარნაკზე გამარჯვების შემდეგ? (პირველი სიტყვა). 8. მე-19 საუკუნის გერმანელი ინჟინერი, ავიაციის ერთ-ერთი პიონერი ოტო.... 10. ეთიოპიის ძველი, არაოფიციალური სახელწოდება. 11. გულის რევმატიული ანთება, დაზიანება. 12. რისამე გადამუშავება, გამოყენება სარგებლობის მიზნით. 13. ქალაქი ინდონეზიაში, კუნძულ ახალ გვინეაზე. 14. სამთო-სათხილამურო ცენტრი ყაზახეთში. 18. ერთგვარი მრგვალი ჭია, რომელიც პარაზიტობს ადამიანის წვრილ ნაწლავში. 19. საზოგადოებრივი განვითარებისა და მატერიალური კულტურის განვითარების დონე. 23. მე-18 საუკუნის იტალიელი ფილოსოფოსი და განმანათლებელი. 24. მშობლები რომ ახასიათებენ ხოლმე შვილებს „...., მაგრამ ზარმაცი-ო“. 28. დიდი სამამულო ომის დროს შექმნილი სიმღერა, რომელიც ახლად გამოგონებულ იარაღს მიუძღვნეს. 29. ცნობილი ამერიკელი პიანისტი მამაკაცი, ჩაიკოვსკის კონკურსის გამარჯვებული. 30. როგორი ტრანსპორტია ურემი ან თუნდაც ველოსიპედი. 34. ფრანგული წარმოშობის ერთგვარი ცეკვა-თამაში, რომელიც პოპულარული იყო მე-19 საუკუნის შუა წლებში ევროპაში. 35. რა არის თავისი არსით ფურუნკული ანუ ძირმაგარა. 36. კათალიკოსის ერთერთი ეპითეტი. 40. ბერლინის ფესტივალის არაოფიციალური სახელწოდება. 41. როგორი ადამიანი იყო მოცარტი ანდა რუსთველი (ლეონარდო და ვინჩიზე აღარაფერს ვამბობთ!). 42. მე-15 საუკუნის იტალიელი მოქანდაკე, ფერმწერი და ოქრომჭედელი, მისი ნამდვილი სახელი და გვარია ანდრეა დუ მიკელე ჩონი. 46. ნახატის ან ორნამენტის შექმნა ქაღალდის ან ქსოვილის ნაჭრების დამატებით. 47. ყველაზე ცნობილი ფინელი ფეხბურთელი. 48. სოფელი მოსკოვთან, სადაც აგარაკები აქვთ ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებს. 52. ვიქტორ ჰიუგოს ერთ-ერთი რომანის პერსონაჟი. 53. XIX-XX სს რუსი სახელმწიფო მოღვაწე, აგრარული რეფორმის ავტორი. 54. სააფთიაქო წონის ერთეული. 58. კუნძული ყირიმში. 59. ერთ-ერთი დეკაბრისტი, პორუჩიკი ევგენი.... 63. ზღვის ზოგიერთი წყალმცენარისგან დამზადებული ლაბა, ჟელატინის შემცველი (ორი სიტყვა). 64. პატარა მიწის ფართობი (ორი სიტყვა). 65. „სკუადრა აძურას“ ახლანდელი მწვრთნელი. 66. რევოლუციამდელ რუსეთში არსებული მმართველობის ფორმა. 71. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი. 72. არასერიოზული, ფუქსავატი. 73. სახსრების ტკივილი ანუ რა? 77. მედიცინის ნაწილი. 78. რისამე თავიდან ასაცილებლად წინასწარ ზომების მიღება. 81. ზერელე მცოდნე ადამიანი. 82. პატარა ქალაქი ინდონეზიაში, კუნძულ ბატაზე. 83. ე.წ. რაჭული ღვინო. 87. საერთაშორისო სამართალში: ზარალის ანაზღაურება. 88. ერთ-ერთი ბანკის სახელწოდება თბილისში. 89. ერთ-ერთი ცნობილი კომეტა. 93. მრისხანე ანუ როგორი? 94. პატარა ქალაქი აღმოსავლეთ ყაზახეთში. 95. XVIII-XIX საუკუნეების შვეიცარიელი პედაგოგი იოჰაან-ჰენრიხ.... 100. ის შეიძლება იყოს კამერულიც და ჯაზურიც. 101. საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი. 102. ფრანგი მწერალი. 106. პატარა ქალაქი ჩრდილოეთ ბულგარეთში. 107. ცნობილი ამერიკელი კალათბურთელი. 108. დიდებული ქართველი მსახიობი, მამაკაცი. 111. გადათარგმნეთ რუსულ ენაზე სიტყვა „დილა“. 112. იხილეთ შვეულ კითხვა № 7 და აქ იულიუს კეისრის მეორე სიტყვა ჩაწერეთ. 113. აქ კი მესამე სიტყვა (იხილეთ კითხვები № 7 და 112).

**გმადლობთ, ქალბატონო ლალი!**

# მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონები პროფესიონალ მოკრივეთა შორის

## პრიმო კარნერა

## მე-11 ჩემპიონი 1933–1934 წლები

პრიმო კარნერა 1906 წელს დაიბადა სოფელ სეკვალეში, რაც ვენეციიდან ერთი საათის ფეხით სავალზე მდებარეობს. მის მშობლებს, რომლებიც უღარიბესებად ითვლებოდნენ სოფელში, მათი ყმაწვილი შვილის გიგანტური ზომები აღიზიანებდათ, რაც პირველ რიგში საკვების და ტანსაცმელის პრობლემებთან იყო დაკავშიებული. ერთ მშვენიერ დღესაც მათ სახლიდან გააძევეს პრიმო და ისიც იძულებული გახდა სარჩოს საძიებლად საფრანგეთში წასულიყო, სადაც ყველაზე მძიმე და ჭუჭყიან სამუშაოს ასრულებდა, ვიდრე არ გაუმართლა და მოხეტიალე ცირკის მოჭიდავე არ გახდა. ცირკის პატრონი პრიმოს პუბლიკის წინაშე, როგორც დიდ და უსუსურ ურჩხულს, წარადგენდა ხოლმე და საამისოდ მას სრული მონაცემები გააჩნდა - ამ დროს მისი წონა 119 კილოგრამს შეადგენდა, სიმაღლით კი 208 სანტიმეტრი იყო (არც მანამდე და არც მის შემდეგ ასეთი გაბარიტების კაცი მსოფლიო ჩემპიონი არ გამხდარა). ხასიათით კი პრიმო სულაც არ ჰგავდა ურჩხულს და, როგორც ასეთი გაბარიტების ადამიანებს სჩვევიათ, იგიც გულუბრყვილო და ადვილად დამყოლი პიროვნება გახლდათ. ცირკის ერთ-ერთ წარმოდგენაზე მას ყურადღება მიაპყრო მოკრივე პოლ ჟუნვიემ და შემდეგ მანვე ეს სიტყვაძუნწი გოლიათი ლეონ სიუს, ენერიულ და მოხერხებულ მენეჯერს გააცნო. უნდა ითქვას, რომ სიუს უცებ არ გადაუწყვეტია პრიმოს მოკრივეობა; დიახ, მას ჰქონდა უსაზღვრო ძალა და დიდი გაბარიტები, იგი 57 ზომის ფეხსაცმელს ატარებდა, იყო დათვივით გამძლე და მამაცი, მაგრამ იყო გარემოებები, რაც მენეჯერის შეშფოთებას იწვევდა. იტალიელის აღნაგობაში ფიზიოლოგებმა ნაირგვარი ანომალიები აღმოაჩინეს: თუნდაც შესამჩნევად სუსტი ხერხემალი, შენელებული რეფლექსები და არცთუ მთლადმოწესრიგებული გული. გარდა ამისა, 20 წლის კარნერას კრივის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდა, რამაც მოგვიანებით არაერთხელ იჩინა თავი მის კარიერაში.

...თუმცა ლეონ სიუ მაინც წავიდა რისკზე!

ეს კაცი პირველ რიგში საქმოსანი იყო და ადვილად განსაზღვრა, თუ პუბლიკაზე რა ეფექტს მოახდენდა კარნერას მსგავსი მონსტრის გამოჩენა რინგის კვადრატზე და არც შემცდარა. პრიმო გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე თავისი მრისხანე გარეგნობით და უხეში ქმედებებით, რაც მას დიდი კრივის რეჟისორებმა წინასწარ შეასწავლეს. და კარნერას პიროვნებით, გარდა კრივის სპეციალისტებისა, დიდი მაფიაც დაინტერესდა, რომლისთვისაც ეს გიგანტი მოკრივე ერთგვარ მეწველ ძროხად იქცა. ამბობენ, რომ თავად ალ კაპონესაც რაღაც-რაღაც საქმეები ჰქონდაო თავის თანამემამულესთან... ასეა თუ ისე, პრიმოს ყველანაირად უკვალავდნენ გზას, რაც მსოფლიო ჩემპიონობისაკენ მიდიოდა. კერძოდ, მისთვის არჩევდნენ არცთუ ძლიერ მოწინააღმდეგეებს, ან ისეთ ხერხებს მიმართავდნენ, რაც სპორტულ კანონებს აშკარად სცილდებოდა. ცნობილია, რომ ერთხელ, ეის კლარლთან შეხვედრისას, სადაც კარნერა აშკარად მარცხს განიცდიდა, მეხუთე რაუნდის დამთავრების შემდეგ, კლარკთან ვილაც ბატონი მივიდა და მას ლაბადის ქვეშ დამალული „კოლტი“ დაანახა, რის შემდეგაც კლარკს ისღა დარჩენოდა, რომ საკუთარი ნებით ჩავარდნილიყო ნოკაუტში. რა თქმა უნდა, ასე ყოველთვის არ ხდებოდა და უმრავლეს შემთხვევებში პრიმო პატიოსნად იბრძოდა და იმარჯვებდა. მან სრულიად დამსახურებულად დაამარცხა თავის სატიტულო ბრძოლაში ჯეკ შარკი, რომელთანაც მანამდე ერთი წლით ადრე უკვე ჩატარებული ჰქონდა მატჩი ნიუ-იორკში. იმ დღეს შარკი 92 კგ-ს იწონიდა, კარნერა კი 118-ს და ყველას ეგონა, რომ ეს უკანასკნელი გასრესდა მსოფლიო ჩემპიონს და თავიდან ეს პროგნოზი მართლდებოდა კიდეც - პირველი სამი რაუნდი კარნერამ აშკარა უპირატესობით მოიგო. მაგრამ ამის შემდეგ შარკიმ გაარღვია იტალიელი გოლიათის დაცვა და ძლიერი მარცხენა დარტყმით მოწინააღმდეგე ექვსწამიან ნოკდაუნში ჩააგდო. ასეთმა დარტყმამ უკვალოდ არ ჩაიარა და შარკიმ შეუბრალებლად გააცამტვერა პრეტენდენტის იმედები, რომელსაც დამსახურებად შეიძლება ის ჩაეთვალოს, რომ მატჩის ბოლომდე გაუძლო გაუგონარი ძალის დარტყმებს.

ასეთმა იოლმა გამარჯვებამ დათვის სამსახური გაუწია ჯეკ შარკის და მეორე მატჩის წინ იგი საერთოდ არ უფთრხოდა იტალიელს. ჯეკი თავს არ იკლავდა ზედმეტი ვარჯიშით და არ ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ ასაკში (იგი 30 წელს გადაცილებული გახლდათ) უკვე ძალზედ ძნელი იყო სპორტული ფორმის შენარჩუნება. 27 წლის კარნერა კი ძალზედ სერიოზულად ემზადებოდა სატიტულო მატჩისათვის მსოფლიო ჩემპიონთან. გარდა საგანგებო ტრენინგისა, პრიმო კარნერა შესანიშნავი სპეციალისტის, დოქტორ ბრიუელის რჩევით, სპეციალურ აბებსაც ყლაპავდა და წინასწარ გაანგარიშებული დიეტით იკვებებოდა, რათა თავისი სუსტი ხერხემალი გაემაგრებინა. შედეგები იმედისმომცემნი ჩანდნენ, ყოველ შემთხვევაში ვერანაირი ძლიერი დარტყმები მის ძვლებსა და ყბებს დიდ ზიანს ვეღარ მიაყენებდნენ. უფრო ჰარმონიული და დახვეწილი გახდა კარნერას კუნთებიც, რაც იმდროინდელ ფოტოებზე აშკარად ჩანს. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, იგი ბევრად უფრო მოძრავი და მოქნილი გახდა. ერთი სიტყვით, შარკის წინაშე სხვა კარნერა უნდა წარმდგარიყო. თუმცა უნდა ითქვას, რომ პუბლიკა ამ მატჩის მიმართ საკმაოდ გულგრილად იყო განწყობილი, რადგან ყველას მშვენივრად ესმოდა, რომ არც შარკი და არც კარნერა კრივის ლეგენდებად ვერ იქცეოდნენ, თანაც ყველა დარწმუნებული იყო, რომ შარკი („შარკ“ სხვათა შორის ზვიგენს ნიშნავს) ადვილად გაუსწორდებოდა გათამამებულ იტალიელს.

...მაგრამ ერთმა ტრაგიკულმა მოვლენამ მკვეთრად აამაღლა ინტერესი აღნიშნული მატჩის მიმართ. მთავარი შეხვედრის წინ კარნერამ საწვრთნელი ბრძოლა ჩაატარა ერნი შააფთან, რომელიც მანამდე უკვე ცნობილ მოკრივეს, მაქს ბერს ნოკაუტით ჰყავდა დამარცხებული. რა თქმა უნდა, ერნი ფრთხილად უნდა ყოფილიყო ამ ნოკაუტის შემდეგ, მაგრამ მან დაუდევრობა გამოიჩინა და კარნერასთან მატჩზე თანხმობა განაცხადა, რაც დასრულდა მისი სიკვდილით რინგზე... კარნერა-მკვლელი კი მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა და გაჩნდა მითქმა-მოთქმა, რომ იგი „ზვიგენსაც“ (ანუ შარკის) ადვილად გაუსწორდებოდა.

შარკი-კარნერას განმეორებით ბრძოლაში დასაწყისში უპირატესობა შარკის მხარეს იყო; 5 რაუნდის განმავლობაში და თითქმის მთელი მე-6 რაუნდი შარკი მოკლე მანძილიდან განხორციელებული დარტყმებით კარნერას აქტიურობას ზღუდავდა და ერთხელ ძალაგამოცლილი იტალიელი მას ტომარასავით ჩამოეკიდა მხრებზე... 30 000 მაყურებელი მთქნარებით ელოდა იტალიელის მორიგ მარცხს, მაგრამ მე-7 რაუნდიდან ეს უკანასკნელი გამოფხიზლდა და შეტევებზედაც გადავიდა... შარკი კი იღიმებოდა და უკვე დაუდევრად ურტყამდა მოწინააღმდეგეს და ერთი ასეთი დარტყმა მას წელსქვემოთაც მოუვიდა, რაც რეფერის არ შეუნიშნავს, მაგრამ კარნერამ ხომ იგრძნო და თანაც ეტკინა! ეს კი მისი განრისხების მიზეზი გახდა... ყველასათვის ცნობილია, თუ რა საშინელებას წარმოადგენს გამწარებული ფლეგმატური გიგანტი, ეს იგივეა, რაც გაგიჟებული სპილო, რასაც წინ ველარაფერი უდგება... და ასე დაემართა კარნერასაც. იგი არაადამიანური ენერგიით დაასხრა შარკის და ეს იმდენად გამაოგნებელი იყო ჩემპიონისათვის, რომ იგი ერთწამს რინგზე ხელებჩამოშვებულიც კი დადგა და კარნერას დარტყმამაც არ დააყოვნა. გამწყრალი და იმედგაცრუებული პუბლიკა დარბაზს ჩუმად ტოვებდა, რადგან ჩემპიონობა ამერიკელმა დათმო და იტალიელის ხელში გადავიდა... ზვიგენი ძირს ეგდო, სპილო კი გამარჯვებას ზეიმობდა!



შარკისათვის ეს დამარცხება მისი სპორტული კარიერის ეპილოგი აღმოჩნდა, კარნერას კი სამშობლოში ეროვნულ გმირად დაბრუნება ელოდა. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი თავად მუსოლინიმ მიიღო თავის რეზიდენციაში და სითბო და მოფერება არ დაიშურა მისთვის. ასე რომ, შმელინგისა და კარნერას გამარჯვებებმა იმდროინდელ პოლიტიკურ წრეებში შექმნა აზრი, რომ მსოფლიოს უძლიერესი მოკრივის ტიტულის მოსაპოვებლად აუცილებელია, რომ პრეტენდენტი ფაშისტური ქვეყნიდან იყოსო... ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ ფაქტები ფაქტებად რჩება - 30-იანი წლების დასაწყისი მსოფლიო კრივი იტლიელი და გერმანელი მოკრივეების ბატონობით აღინიშნა, ამ ქვეყნებში კი მაშინ სწორედ რომ ფაშიზმი ზეობდა...

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 4 | | | |
| | | | | | | | | | | 3 | 1 | | | | 2 | | | | | 12 | | | |
| | | | | | | | | | 3 | 2 | 2 | 3 | 3 | 8 | 11 | 4 | 2 | | | 3 | 10 | 9 | |
| | | | 1 | 1 | 6 | 9 | 7 | 3 | 4 | 3 | 2 | 2 | 3 | 5 | 7 | 5 | 18 | 19 | 24 | 25 | 2 | 6 | 4 | 2 |
| | | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 1 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | 2 | 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 3 | 2 | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 10 | 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 10 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 11 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 15 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 4 | 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 3 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 5 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | 5 | 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

2000 44(199)

მრავალ-ხმიანობა

რუსი ფეხ-ბურთელი

ბავშვებს ამზადებს | ხალხის მმართვ.

3,141592... | ქვეყანა ევროპაში

დეკორატ. მცენარე | დარტყმა ფეხბურთ.

ზებების მეცნიერი | ჯუჯა ცხენი

პოლიევდ. მსახიობი | „იევრი-იიდან“

ფართო, მრავა-ლრიცხ. (ბერძნ.)

აშშ-ს პრეზიდ-ენტობის კანდიდატი

წყლის საქაჩი აპარატი

ავსტრალ. ფრინველი | წყალსატ. რაქაში

კედლის სანთი | წესი, ადათი

ციხეების სისტემა აშშ-ში | ქურქელი

ფინური ელექტრო ფირმა

მცირე რაოდ-ენობა

რუსული თვითმფ-რინავების მარკა

„(.......) სახლი“ მ.სტრიპის ფილმი

თომას მორის თხზუ-ლება

ნერვული სისტემის ხანგრძლ. აღგზნება

ყოფილი სახელ-მწიფო მინისტრი

ლექსი ძველ საქარ-თველოში

(...) ლინი, ჩინელი მწერალი (1907-1986)

ეპილე-ფსიის მომაწვა-ვეველი

ჩრდ.კავ-კასიელ მთიელთა დასახლ.

სახელ-მწიფო წყნარ ოკეანეში

მთვა-რეული | ბატონო (ესპ.)

ერთგვარი ბოსტ-ნეული კულტურა

სამოას დედა-ქალაქი

ჩვენს სახლებში ნაკლე-ბადაა

სინდისი КВН-ის სულისჩა-მდგმელი

ფრანგი რევოლუ-ციონერი

ნახევარ-კუნძული აზერბაი-ჯანში

მეტყევე-ლების დღესასწაულის მქონე

ყაზახი ბატონი

ნატრ-იუმის კარბ-ონატი

ქალის ქართული სახელი

კაროლინის, კვარცის და თიხის ნაერთი

3

განცხ-ადება

(...) პარი, უდიდესი მოცეკვავე

ორგა-ნიზმის სითხე

აზრო-ბრივად მსგავსი სიტყვა

აშშ-ს შტატი

ესპანეთის ნავრების ყოფილი მეკარე

რუსეთის საინფო-რმაციო სააგენტო

კაცს უნდა ჰქონდეს

იტალიური ავტომ-ობილი

ავტო-რბოლა

ის, რაც ბუნების კანონებს ეწინააღმ.




სახით მერილ სტრიპია, თვალებით ვინაა? (ამას ციფრებით ამოიცნობთ)

ღვინის ქურქელი

თანხმობის საწინაა-ღმდეგო

მალაზიის ფანჯარა

ევროპის ქვეყანა

რუსული მანქანა | ბანქში შესატანი

(...) მორელი, იტალიელი მსახიობი

საიდუმლო კუნძულის ერთ-ერთი მკვიდრი

ზაფხულის სასმელი | ჩინეთის დინასტია

(...) რურუა | ეგოისტის სიტყვა

1

ხმის ფიზიკური მახასი-ათებელი

ჯოგების მწყემსი აშშ-ში

ერთ-ერთი კულტის მიმდევარი | ბჭევი

ტროპიკ. მარად-მწვანე მცენარე

პირის ღრუშია | „ნიღბების თეატრი“

(...) ვენტურა | „ბითლ-ზიდან“

მზის სისტემის პლანეტა

კოლუმბის კარაველა

მითიური არსება

2

(...) დე ბერჟ-ერაკი

დღეს-ტნელი | 1 000 000 გრამი

ბრაზილ. სპორტის ყოფილი მინისტრი

ფალია-შვილის ოპერა

გერმანიის სამრე-წველო რეგიონი

ატმოსფეროშია

ულიცენზიო მონადირე

ფანცუბის 2000 44(199)

სახელ-მწიფო კარიბის ზღვაში

კახური სიტყვა / ქართველი მეკარე

ახალ-ქალაქი, ნინო-წმინდა

ქართველი მწერალი

ლინზის სახეობა



თურქი ფეხბურთელი

სოფელი ყაზბეგის რაიონში

ინგლ-ისელი მწერალი, ჰუმა-ნისტი (1478-1535)

ვინმე / შენობის ნაწილი

იუპიტერ-ის თანა-მგზავრი / ამგვარად

5

ავსტრიის საფეხ-ბურთო კლუბი

6

თითი

მილი, მიკრო (......) / დრო

დიდი ზომის თევზი

ცნება ბანქოში

ფრანგი პოეტი / ირაკლიც, ირინაც

ანდერ-სენის პერს-ონაჟი

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11

(...) ფეროუ / ჰიპოტ-ენუზის კოლეგა

მეტრო-პოლიტ. ყოფილი სადგური

გერმ-ანიის ქალაქი

ამოს-ავლეთი

4

ბავშვს სჩვევია / ნიადაგის რღვევა

თეთრგვ-არდიელი / მშფოთ-ვარე

სურვილი

კომედიის „მამა“

იემენის დედაქალაქი

მონღო-ლეთის ფულის ერთეული

პატარა მიხეილი / სანია-ვეველი

ფალია-შვილის სახელ-ობისაა

საღეჭი რეზინი

3

საიდუმლო კუნძულზე მცხოვრები ინჟინერი

წინსართი „ორი“ / უკანა-სკნელი

მოხუცი / მდინარე ციმბირში

2

სომხეთში ასეთი ქალაქი იყო

7

ჩვენი ძველი ჰიმნო-გრაფი

1

პოლი-ვუდის ვარსკ-ვლავი

ქალაქი რუსეთში

შემახილი ბანქოში

ქალაქი რუსეთში

ადრე პურთან კავშირში იყო

ის მხარისა

ნავთობმზიდი

სიმინდის ფქვილ-ისაგან კეთდება

აბრაამის ძმა

(...) ფონ ბისმარკი, რკინის კანცლერი

ზაფხულის ს[illegible]

ვარცხნ-ილობის ერთგვარი სტილი

მცირე ზომის ცხოველი

ფეხსა-ცმლის მაღაზია თბილისში

ა.დიუმას აბატი

რიტმული ამერ-იკული მუსიკა

სოფელი სამეგ-რელოში

იაპონელი მწერალი / ბერძნული კუნძული

მსუსხავი მცენარე / გამომ-ძიებელი

კარლ მარქსის კოლეგა

ქვეყანა აზიის დასავლეთ ნაწილში

„ძველის“ აღმნი-შვნელი წინსართი

ლაშქარი, ჯარი, არმია

8

ტრამვაის წინამ-ორბედი

ბანქოს თამაში / ველური ვარდი

საბჭოთა ტელევიზ. გერმან. მადლობა

ერთწლი-ანი ბალ-ახოვანი მცენარე

პოლო-ნელი კინორე-ჟისორი

ტრაფა-ლგარის ბრძოლის გმირი

წყნე-თელი

(...) ბერნარი, ძვ.ფრანგი მსახიობი

ავანსი / მსუბუქი კომიკური ჟანრი

ნამი / კომბალი

10

NHL-ის ლეგენდა

„საწყისი“ (ბერძნ.) / ფრანგი მარშალი

(...) ონო, ლენონის მეუღლე / აკრძალვა

შემახილი თეატრში

ბერძნული ანბანის 23-ე ასო

რუსული ესტრადის პრიმადონა

ჩინეთის ფულის ერთეული (მრ.რიცხ.)

9

თბილისის ტბა

სოფელი ქართლში / უიღბლო ადამიანი

უსარგებ-ლო ნივთი / ესპანელი ფეხბურთ.

ქუთაისის ძველი სახელი

11

ელ.გამტარობის ერთეული

დასტინ ჰოფმანის კინო-გმირი

# ახალ წლამდე განა დიდი დრო დარჩა?



# თავსატეხი



| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ც | 2 ხ | 3 რ | 4 ა | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 |

# გინესების რეკორდების წიგნი

## ტბები

ყველაზე დიდი მტკნარი ტბა

**ზემო ტბა**

მტკნარ ტბებს შორის ყველაზე დიდი აკვატორია აქვს ერთ-ერთ დიდ ტბას ჩრდილოეთ ამერიკაში - ზემო ტბას. მისი საერთო ფართობი 82 350 კვ.კილომეტრია; ტბა ზღვის დონიდან 180 მეტრზე მდე-ბარეობს.

ყველაზე დიდი მტკნარი ტბა

**ბაიკალი**

მტკნარი წყლის რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა რუსეთის ციმბირში მდებარე ბაიკალის ტბა; მისი მოცულობა 23 000 კუბ. კილომეტრს შეადგენს.

ყველაზე დიდი ტბა ტბაში

**მანიტუ**

ტბა მანიტუ, რომლის ფართობი 106,42 კვ.კმ-ია, განლაგებულია კუნძულ მანიტულინზე (2766 კვ.კმ.) ჰურონის ტბის კანადურ ნაწილში. თავად ამ შიდა ტბაშიც არის რამოდენიმე კუნძული.

ყველაზე დიდი წყალქვეშა ტბა

**დრახენხაუხლოხის გამოქვაბული**

ყველაზე დიდი ყველა ცნობილ მიწისქვეშა ტბას შორის მდებარეობს ნამიბიაში. ის აღმოაჩინეს 1986 წელს, 1991 წელს ჩატარებულმა გამოკვლევებმა კი აჩვენეს, რომ ტბის ფართობი 2,61 ჰექტარია და ის მიწისქვეშ 66 მეტრზე მდებარეობს.

ყველაზე დიდი ლაგუნა

**პატუსი**

ლაგუნა პატუსის სიგრძე (რიუ-გრანდი-დუ-სული, ბრაზილია) 280 კილომეტრია, ფართობი 9850 კვ.კმ, მაქსიმალური სიგანე კი 70 კილომეტრი.

# მის მსოფლიო
# MISS WORLD

**1998** წელი



**ლინორ აბარგილი** - ისრაელი. 2. ვერონიკა კალოკი - საფრანგეთი. 3. ლინა ტეო პიკ ლინი - მალაიზია. 4. ალენა სერედოვა - ჩეხეთი. 5. კერიშნი ნეიკერი - სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

**1999** წელი




**იუკტა მუქხი** - ინდოეთი. 2. მარგიტა ტორგუტ ჰიმსენი - ვენესუელა. 3. სონია რაციტი - სამხრ. აფრიკის რესპ. 4. ჯენი ჩერვონი - ისრაელი. 5. საბაჰ ტუბმანი - ლიბერია

**შეგვიძლია ჩვენი გაზეთის ძველი ნომრები გადმოგცეთ საჩუქრად, უფასოდ! დაგვიკავშირდით საღამოს საათებში**



## გასული ნომრის ნახატები









# კლაუდია კარდინალე

## მსოფლიო კინოს 50 ქალღმერთი

გამოშვება №21

**Claudia Cardinale**

**დაიბადა 1939 წლის 15 აპრილს ტუნისის დედაქალაქ ტუნისში**

### იტალიური კინოს ყველაზე ლამაზი ქალი

**კლაუდია კარდინალე: დაბადებით - აფრიკელი, აღზრდით - ფრანგი, ეროვნებით - იტალიელი...**

**მთავარი ფილმები: „ლეოპარდი“ (1963 წ. რეჟ. ლუკინო ვისკონტი), „8 1/2“ (1963, რეჟ. ფედერიკო ფელინი), „ერთხელ ველურ დასავლეთში“ (1969, სერჯო ლეონე), „ფიტცკარალდო“ (1982, ვერნერ ჰერცოგი).**

**გადაღებულია მიხეილ კალატოზიშვილის ფილმში - „წითელი კარავი“ (1971).**

**ამჟამად მის ანგარიშზე უკვე 95 კინოფილმი ითვლება და კვლავაც იღებს მონაწილეობას გადაღებებში, ოღონდ სატელევიზიო ფილმებში.**

* * *

ეს იყო 50-იანი წლების დასაწყისში, ტუნისში რაღაც საქველმოქმედო მეჯლისი უნდა ჩატარებულიყო, სადაც პარალელურად ტუნისის ყვლაზე ლამაზი იტალიელი გოგონა უნდა აერჩიათ. დარბაზის შესასვლელთან კი იდგა გოგონა და მეჯლისის ბილეთებს ყიდდა... უცებ მას ვიღაც სწვდა და აღტაცებით შესძახა: ,,ულამაზესი გოგონა დარბაზში კი არა, მის გარეთააო“ და გოგონა გონსაც არ იყო მოსული, რომ იგი მშვენიერ სამოსში გამოაწყეს და იმ მეჯლისის ულამაზესი ქალბატონის გვირგვინით შეამკეს... პრიზი კი გამარჯვებისათვის ვენეციის კინოფესტივალზე დასწრება გახლდათ... ასე მოხვდა ტუნისელი კლაუდია კარდინალე თავისი სამშობლოს უპირველეს კინოფორუმზე და მთელი ვენეციის ფოტორეპორტიორები თავს დაეხვივნენ მას და მაშინვე დაანათლეს ტიტული ,,ულამაზესი იტალიელი ქალისა“, რაც კლაუდიამ შემდგომ მთელი სისრულით დაადასტურა...

არადა, წუთისოფლის ამგვარი ზღაპრული შემობრუნების პარალელურად კლაუდიას ცხოვრებაში საკმაოდ ბინძური ამბები განვითარდა... ვიღაც არისტოკრატმა ნაძირალამ აცდუნა იგი და ტუნისში დაბრუნებულმა გოგონამ ისღა შეიტყო, რომ ფეხმძიმედ იყო. ეს ამბავი კლაუდიას ცხოვრებისათვის ნამდვილად წარღვნის მაგვარი მოვლენა გახდა და იგი თვითმკვლელობისათვის გაემზადა, მაგრამ კინოს სამყაროში ახლადმოვლენილი ლამაზმანის სიკვდილს არავინ დაუშვებდა და ამიტომაც ერთმა უმსხვილესმა იტალიურმა კინოკომპანიამ კლაუდია სასწრაფოდ გააგზავნა გადაღებებზე რომში; კლაუდიას ფეხმძიმობის ამბავი კი დასამალი რომ ველარ შეიქნა, მან ყველაფერი პროდიუსერ ფრანკო კრისტალდის გაანდო, რომელმაც ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ მშვენიერი გოგონა საღი და საღსალამათი შესდგომოდა კინოსამსახიობო კარიერას. კრისტალდიმ კლაუდია ლონდონში გაამგზავრა, მშობიარობის ყველანაირი ხარჯებიც თავად გაიღო და ახლადშობილი ბავშვი იტალიაში ჩამოიყვანა, როგორც კლაუდიას ძმა (...კლაუდიას დედაც წინასწარ იყო შემზადებული); სანაცვლოდ კი ფრანკო კრისტალდიმ კლაუდიას გული მოინადირა და მალე ისინი დაქორწინდნენ, თუმცა ეს ქორწინება დიდი ვერაფერი სახარბიელო აღმოჩნდა კლაუდიასათვის...

მალე კლუდიას ცხოვრებაში გამოჩნდა ლუკინო ვისკონტი, რომლის შესახებაც მან თქვა, რომ ამ რეჟისორს შეუძლია მსახიობად თვით ქვაც აქციოსო... თავის მხრივ არც ლუკინომ დაიშურა კლაუდიასათვის საქებარე სიტყვები და იტალიური კინოს ყველაზე ამაღელვებელი ქალი უწოდა; ასეა თუ ისე,მათ ერთმანეთი ი პოვეს,არადა, ამ მშვენიერი ტუნისელის გულის მოგებას თვით ალბერტო მორავიაც ცდილობდა და მას ,,სიყვარულის ქალღმერთიც“ კი უწოდა. თუმცა კლაუდიას ღირსებათა ყველაზე ორიგინალური შემფასებელი რეჟისორი დევიდ ნაივენი აღმოჩნდა, რომელმაც ერთხელ თქვა: ,,კლაუდია არის ყველაზე კარგი ქმნილება, რაც იტალიელებს შეუთავაზებიათ მსოფლიოსათვის, თუ, რა თქმა უნდა, მაკარონს არ ჩავთვლით“-ო.

### იმპროვიზირებული ინტერვიუ

- უკვე თორმეტი წელია, რაც თქვენ კინო მიატოვეთ... რატომ მოხდა ეს?

**- ყველაფერში ასაკია დამნაშავე... ახლაც მთავაზობენ როლებს, მაგრამ ეს უბრალოდ გაგრძელებაა ჩემი წარსულისა, მასში სიახლე არაფერია, მე კი გამუდმებით ძიებაში ვარ და ამიტომ მივაშურე თეატრს... იქ ჩემი სამსახიობო კარიერის ახალი ეტაპი დაიწყო.**

- გახსოვთ, ჰოლივუდშიც რომ მიგიწვიეს?

**- ეს 1963 წელს მოხდა; კონტრაქტის გაფორმებამდე მცირე ხნით მერილინ მონროს საგრიმიოროში მომიხდა ჩამოჯდომა...**

- ეს ალბათ განგების ნება იყო, რადგან თქვენც მერილინივით სექს-ბომბის სახელი მოგაკერეს...

**- ალბათ... მე ხმელთაშუაზღვისპირა ჰეტერადაც მომნათლეს, მაგრამ სინამდვილეში ეს არასოდეს ყოფილა რეალური ამბავი, რადგან მე არასოდეს გავშიშვლებულვარ კინოკამერის წინ...**

- ძნელია ამის დაჯერება?!

**- უნდა დაიჯეროთ, სხვა გზა არ გაქვთ.**

- თქვენ ძალიან ბევრს ეწევით.

**- ვიცი. ძალიან ბევრს ვეწევი; მე ეს თავადაც მიკვირს, რადგან თამბაქოს სუნს ვერ ვიტან... ერთხელ, „სანდრას“ გადაღებებზე ლუკინო ვისკონტიმ მოისურვა, რომ ჩემს გმირს სიგარეტი მოეწია, მე მას დავუჯერე და ახლა სანანებლად მექცა ეს.**

- თქვენს ბინაში უამრავი ყვავილებია.

**- სადაც არ უნდა ვცხოვრობდე - სახლში თუ სასტუმროში - მე ყოველთვის ვცდილობ, რომ ბევრი ყვავილები მეხვიოს გარს... რაც უფრო მოწყენილი ვარ, მით უფრო დიდ თაიგულს ვაკეთებ ხოლმე და ეს სევდას მიქარვებს.**

- რა არის თქვენთვის პარიზი?

**- ჩემი ცხოვრება გამუდმებულ მგზავრობებში გავატარე და ძალზედ მიხარია, რომ ახლა პარიზში, ჩემს სახლში ვატარებ უმეტეს დროს. მე აქ ყველაფერი მიყვარს: ჩემი ბინა, მზე, სენა... ძალიან მიყვარს ამ მდინარის თვალთვალი, ეს რაღაცით ჩემს ცხოვრებას წააგავს...**

- რომმა მოგაბეზრათ თავი?.

**- არა, მე პარიზში 1989 წელს ჩამოვედი გადაღებებზე; მაშინ ჩემი გოგონა 10 წლის იყო და ძალიან მინდოდა, რომ მას ფრანგულ სკოლაში ესწავლა... აი, ასე, ჩემი გოგონას წყალობით (სხვათა შორის მასაც კლაუდია ჰქვია) დავრჩი მე პარიზში.**

- თქვენ ტუნისში ძალიან უყვარხართ...

**- წარმოშობით მე აფრიკელი ვარ, იქ ჩემი წინაპრები დიდ ხნის წინ დასახლდნენ; სულ ახლახანს მე ჩემს „ძმასთან“ ერთად ტუნისში მომიწია ჩასვლა და იქ გრანდიოზული შეხვედრა მომიწყეს, როგორც ეროვნულ გმირს. მეორე დღეს, პარიზში რომ დავბრუნდი, მე ვიღაც ტიპი ამედევნა და მოსვენებას არ მაძლევდა. მალე გაირკვა, რომ ისიც ტუნისელი იყო და მხოლოდ იმისათვის დამდევდა, რომ ორიოდ სიტყვა ეთქვა - „თქვენ ჩვენი ქვეყნის სახელი და დიდება ხართო“. აფრიკამ დიდი კვალი დაამჩნია ჩემს ხასიათზე და ამას ყოველდღე და ყოველ წუთს ვგრძნობ.**

- თქვენი შემხედვარე ადამიანი იფიქრებს, რომ დრო შეჩერებულია... თუმცა ადამიანები მაინც მიდიან აქედან, თუნდაც - მასტროიანი.

**- ეს ჩემთვის საშინელი დარტყმა იყო. მე და მარჩელოს ხომ დიდი შემოქმედებითი ბიოგრაფია გვაკავშირებდა. იგი დეკემბერში დაიღუპა, იანვარში კი ახალი ტელესერიალის გადაღება უნდა დაწყებულიყო ჩვენი მონაწილეობით...**

- პირად ცხოვრებაზე რას იტყვით... თუნდაც ფრანკო კრისტალდი გავიხსენოთ.

**- იგი ძალზედ ინტელიგენტური მამაკაცი იყო; მან დიდი გავლენა იქონია ჩემს კარიერაზე, მაგრამ ჩვენ ოჯახი კი არა რაღაც „ამერიკული“ საქორწინო გარიგება გვქონდა და ყველაფერი კინოს მოთხოვნებს ემორჩილებოდა; მე არანაირი პირადი სურვილების ასრულების უფლება არ გამაჩნდა და თანდათან ვგრძნობდი, რომ ადამიანი კი არა კინოს მოსამსახურე გავხდი. მე კი ვერასოდეს შევეგუებოდი ტყვეობას...**

- ...და ამერიკის დასაპყრობად გაემგზავრეთ.

**- დიახ, სულ მალე ტუნისელი გოგონა აღმოჩნდა ისეთი ვარსკვლავების გარემოცვაში, როგორიც თუნდაც მარლონ ბრანდოა... თუმცა ამერიკულმა ცხოვრებამ ჩემში ალერგია გამოიწვია; წარმოიდგინეთ, მე იქ მსუქან ქალს მეძახდნენ მაშინ, როცა წელის შემოწერილობა 50 სანტიმეტრზე მეტი არ მქონდა და ალენ დელონის ხელებშიაც კი ეტეოდა. ჩემგან გახდომას მოითხოვდნენ, რათა მათს ვარსკვლავებს დავმსგავსებოდი, რაც ჩემთვის მიუღებელი იყო და ამიტომაც მივატოვე ამერიკა...**

- და მაინც ვინ არის თქვენი ცხოვრების მთავარი მამაკაცი?

**- პასკალ სკიტიერი, ჩემი ქალიშვილის მამა.**

- ჯორჯო არმანი?

**- თხუთმეტი წელია ჩვენ მეგობრები ვართ და არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, როცა იგი ჩემთვის საგანგებოდ კერავს კაბას. მისი კაბა პირველად 1953 წელს ჩავიცვი კანის კინოფესტივალზე და მას შემდეგ მე მის გემოვნებაზე ვარ მთლიანად დაყრდნობილი; საკმარისია იხილოთ ჯორჯოს ვილა, რომ დარწმუნდეთ იმაში, თუ რა ესთეტია იგი. რა თქმა უნდა, მე სხვა კაბებიც მაქვს, მაგალითად ნინა რიჩისა, მაგრამ ჯორჯო არმანის ნახელავი ჩემში განსაკუთრებულ სიამაყეს იწვევენ. ყველაზე საყვარელი კაბა კი არის ის, რომელიც 25 წლის წინ „ოსკარის“ პრემიის მიღებისას მეცვა და იმედი მაქვს, რომ მას ჩემი ქალიშვილიც ჩაიცვამს ქორწინების ცერემონიალზე...**



# ქართულ კითხვებს რუსული პასუხები გაეცით







## თითქმის ყველაფერი ლუდზე



*(მეოთხე ნაწილი)*

ერთხელ სამმა ინგლისელმა ლუდის მწარმოებელმა ქალაქ ბერტონიდან შეარჩიეს ლუდის უზარმაზარი კასრი, მიუყენეს ძრავა და ასე გადალახეს წინ და უკან ლა-მანშის სრუტე.

* * *

ჰოლანდიის ზოგ სოფელში ფოსტის ყუთს ლუდის კასრის ფორმა აქვს.

* * *

ამერიკელი არქიტექტორი მაიკ რეინოლდსი ლუდის ქილებისაგან სახლებს აშენებს. იგი მავთულით კრავს რვა ქილას და ამ ბლოკებს ცემენტით აერთებს. სახლისათვის, სადაც ორი საძინებელი, სასტუმრო ოთახი, სასადილო და სამზარეულოა, 40 000 ქილაა საჭირო.

* * *

იტალიის ქალაქ პადუაში ლუდის მოყვარულებმა თავიანთი საყვარელი სასმელის ქილებისაგან ააგეს წმ. ანტონიოს ტაძრის 4-ჯერ შემცირებული მოდელი და ამაზე 3 მილიონ 45 ათასი ლუდის ქილა დახარჯეს.

* * *

ფილიპინების ქალაქ კავიტეში კი ერთმა ადგილობრივმა ბარმენმა საახალწლო ნაძვის ხის კონსტრუქცია ლუდის ქილებისაგან შექმნა.

* * *

ინგლისის ქალაქ ბრაიტონის ღამის ერთ კლუბში კლიენტებს უჩვენებდნენ უზარმაზარ, 30 სანტიმეტრიან ლოკოკონას, რომელიც ნახევარ კილოგრამს იწონიდა... თუმცა მთავარი ისაა, რომ ეს ლოკოკინა ლუდს მიირთმევდა.

* * *

ერთხელ 15-მა ველურმა სპილომ ინდოეთში, სოფელ პრაჯაპატიბოსტიში, შეანგრიეს ერთი სახლის კარი და დაეწაფნენ ბრინჯის ლუდს, იმ სახლში კასრებით რომ იდგა.

* * *

საუკეთესო გემოს მქონე ძროხის ხორცის მისაღებად იაპონიის ქალაქ მაცუძაკის მცხოვრებნი ძროხებს ლუდს ასმევენ, დილაობით კი მასაჟს უკეთებენ. გურმანები მზად არიან ასეთ ხორცში 6-8-ჯერ მეტი თანხა გადაიხადონ.

* * *

ყველაზე მაგარ ლუდად ითვლება -„**Roger&Out**"-ის ლუდი, რომელიც 1985 წლიდან ისხმება დიდი ბრიტანეთის ქალაქ შეფილდში; მასში 16,9% ალკოჰოლია.

* * *

30 წლის ახალზელანდიელი ჯეკ მანაკაუ დაიღუპა მაშინ, როცა ლუდის სმის რეკორდის დამყარებას აპირებდა; მან მხოლოდ 77 კათხა ლუდის დალევა მოასწრო.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

ამავე ნომრის პასუხები

ფანტაზიორი (მე-გვ.) 1. ფული და სული. 2. აშკარად ჩაცმის და მალულად გახდის სურვილები. 3. ტროას ცხენის შექმნის იდეა. 4. მულტიპლიკაცია. 5. შარდის ანალიზმა აჩვენა, რომ მისი „ავტორი" ფეხმძიმედაა. 6. სპარტაკი (იგულისხმება გლადიატორთა სკოლები).

რეიტინგი (მე-გვ.) 1. ლოსიონი. 2. მაკინტოში. 3. შტატი. 4. ჩაუქი. 5. მაკრატელი. 6. კრაველი. 7. სონანტი. 8. შალაური. 9. სროლა. 10. კარდანახი. 11. ფილისტერი. 12. მარქაროვი. 13. სკოლა. 14. ანეტო. 15. ბლოკადა. 16. სტილი. 17. სკილაჩი. 18. პროფილი. 19. აშიკი. 20. პლენარული. 21. ედელვაისი. 22. ელადა. 23. შხეფი. 24. კონდიტერი. 25. ანოდი. 26. ასკორბინი. 27. მოლჩალინი. 28. ელისო. 29. გუცაევი. 30. ანაშა. 31. ამულეტი. 32. დურდო. 33. შარდენი. 34. ბოღმა. 35. ხმელი. 36. ანწლი. 37. ფანტომასი. 38. მშენებელი. 39. ყვირილა. 40. პლანეტა.

19. **კენტუკი** (**Kentucky**) - მდებარეობს აშშ-ს სამხრ.-აღმოსავლ. ნაწილში.







ფართობი - 104,660 კვ.კმ. მოსახლეობა - 3 686 000 ათასი.

ადმ. ცენტრი - ფრანკფორტი (Frankfoert) მოსახლ. - 26 000 კაცი, უდიდესი - ქალაქი ლუისვილი

კენტუკის ხუმრობით სხვაგვარად „თივაქასრას შტატსაც“ (Bluegrass State) უწოდებენ.

1763 წელს ეს ტერიტორია საფრანგეთმა დათმო აშშ-ს სასარგებლოდ და მისი დასახლება 1770-იანი წლებიდან დაიწყო. **1792 წელს აშშ-ს შემადგენლობაში შევიდა და ამავე წლის 1 ივნისს ქვეყნის მე-15 შტატი გახდა**.

კენტუკი 120 ოლქადაა ოლქადაა დაყოფილი.

სახელი წარმოდგება მდინარე ოჰაიოს სამხრეთ დინების ადგილობრივი სახელწოდების მიხედვით.

20. **კოლორადო** (**Colorado**) - მდებარეობს აშშ-ს ცენტრალურ ნაწილში.




ფართობი - 269,595 კვ.კმ. მოსახლეობა - 3 295 000 ათასი.

ადმ. ცენტრი - დენვერი (Denver) მოსახლ. - 468 000 კაცი.

კოლორადოს სხვაგვარად „ასწლეულის შტატსაც“ (Centennial State) უწოდებენ.




ამ შტატის ნაწილი აშშ-მ 1803 წლის ლუიზიანას გარიგების შედეგად მიიღო, მეორე ნაწილი კი 1848 წელს ხვდა წილად მექსიკის წინააღმდეგ ჩატარებული კამპანიის შედეგად. 1861 წელს ეს ტერიტორიები გაერთიანდა და **1876 წელს აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმის დღეებში, უფრო ზუსტად კი 1 აგვისტოს, ამ ქვეყნის 38-ე შტატად გამოცხადდა.**

კოლორადო 63 ოლქადაა დაყოფილი.

სახელი წარმოდგება მდინარე კოლორადოს სახელის მიხედვით, რაც თავის მხრივ ესპანური სიტყვაა და „წითლად შეფერილს“ ნიშნავს.

21. **კონექტიკუტი** (**Connecticut**) - მდებარეობს აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე და ითვლება ე.წ. „ახალი ინგლისის“ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად.




ფართობი - 12,997 კვ.კმ. მოსახლეობა - 3 288 000 ათასი.

ადმ. ცენტრი - ჰარტფორდი (Hartford) მოსახლ. - 140 000 კაცი, უდიდესი ქალაქია ბრიჯპორტი. კონექტიკუტს სხვაგვარად „კონსტიტუციის შტატსაც“ (Constitution State) უწოდებენ.

კონექტიკუტი იყო ერთ-ერთი იმ ცამეტ შტატთაგან, რომლებმაც კონსტიტუციის მილებით აშშ-ს შექმნას დაუდეს საფუძველი. **1788 წლის 9 იანვარს აშშ-ს რიგით მეხუთე შტატი გახდა.**

კონექტიკუტი 8 ოლქადაა დაყოფილი.

სახელი წარმოდგება ადგილობრივ ბინადართა სიტყვა Quinnehtukqut-საგან, რაც აზრობრივად „გრძელი მდინარის ნაპირს“ უნდა ნიშნავდეს.




# №43-ის პასუხები

**სუპერკროსვორდი (მე-4-5 გვ.)** *თარაზულად:* 1. თამაში. 4. ღვინობისთვე. 9. ვერეშჩაგინი. 17. ნონიაშვილი. 18. მორბენალი. 19. დისბალანსი. 22. მარტოობა. 23. მაგნატი. 24. ტუბერკულოზი. 28. შარლატანი. 29. ინტელექტი. 30. ახალბედა. 34. როიალი. 35. საგრაფო. 36. თეოკრატია. 37. ანეტო. 42. ბრაბანციო. 43. ეთიოპია. 44. აზბესტი. 45. ტრიო. 50. ოთხი. 51. აგუტინი. 52. მუნდირი. 53. პროსტატიტი. 57. ფლორა. 58. პედანტი. 59. ინცესტი. 60. გარსია. 65. ნერონი. 66. მანძილი. 67. ბორხესი. 68. ჩარხი. 73. ბუტრაგენიო. 74. არტერია. 75. ინტეგრალური. 79. ანაკლია. 80. დიუნანი. 81. რეგლანი. 82. ქსენძი. 87. კლიო. 88. დიამატი. 89. უკრაინა. 90. უკაცო. 91. ბოვე. 96. აღლუმი. 97. შევრონი. 98. ანისული. 99. ანკორიჯი. 103. ათეისტი. 104. გულიაში. 105. სამგურალი. 110. გრიფიუსი. 111. გარნირი. 112. ვაისროი. 113. ოჩანი. 118. თეატრმცოდნე. 119. უდღეური. 120. კორიანტელი. 124. აპია. 125. კრება. 126. ბარტერი. 127. გალიანო. 128. ენცო. 133. კუნელი. 134. ონდატრა. 135. აფხაიძე. 136. რეგისტრი. 140. მეტასტაზი. 141. მარგილი. 142. კანკალი. 147. ლებანიძე. 148. არბიტრი. 149. ონავარი. 150. შტატი. 155. პორტინარი. 156. თვალსაწიერი. 157. პლუვიოზი. 161. მდოგვი. 162. თვალსაზრისი. 163. მილუოკი. 164. პონი. 165. ილიე. 166. სალივაცია. 167. ნიკარაგუა. 168. ფატიმა. *შვეულად:* 1. თანამოაზრე. 2. მანერა. 3. შთამომავლობა. 5. ვალე. 6. ბროუნი. 7. საბატინი. 8. ვენა. 10. ენიაკი. 11. ჩაბალახი. 12. გალაზოლინი. 13. ნუნუ. 14. ქვაბული. 15. ალბუკერკე. 16. ჰიმალაი. 20. ლაინერი. 21. პენტჰაუზი. 25. სტრატიოტი. 26. ვედეკინდი. 27. სესტერციუსი. 31. დიტრიხი. 32. შფოთი. 33. ვინეგრეტი. 38. უნაგირა. 39. იოგურტი. 40. ოტისი. 41. დომინანტა. 46. მოჩვენება. 47. ანდერძი. 48. კრანახი. 49. გაზაფხულისა. 54. კლონდაიკი. 55. მაკლორენი. 56. პერსონალი. 61. პრეტენზიული. 62. პაპიე. 63. სოფია. 64. გაერო. 69. სესილია. 70. გერნიკა. 71. დეინეკა. 72. ფრანკონია. 76. ლიქტორი. 77. ბერნესი. 78. პიკერინგი. 83. აკვალანგი. 84. უმბერტო. 85. ზარნაშო. 86. მცენარე. 92. ამეთვისტო. 93. ანტუანი. 94. ალიანსი. 95. ყოყლოჩინა. 100. სიასამური. 101. მითრიდატე. 102. აგრონომია. 106. ჰიპერიონი. 107. ყაენი. 108. შაირი. 109. ინტერნეტი. 114. კომბინატი. 115. ნეკროფაგი. 116. დიუნკერკი. 117. კინოფილმი. 121. მარკო პოლო. 122. საარი. 123. ლაო-ძი. 129. ალტერნატივა. 130. მაუზერი. 131. ლაპლანდია. 132. ფიოლეტოვი. 137. მანძონი. 138. საკრალური. 139. მავრი. 143. ობლომოვი. 144. ფიჭვნარი. 145. გვარჯილა. 146. ატროპოსი. 151. მრევლი. 152. ჰაქსლი. 153. ალეკო. 154. მიშიმა. 158. ემსი. 159. ალფა. 160. გურუ.

**(მე-6 გვ.)** *თარაზულად:* 1. როჩესტერი. 6. გიტისი. 10. იამბიკო. 11. დობერმანი. 12. ოქროულობა. 13. ოხრანკა. 14. დიეზი. 15. იტალო. 16. სტეპი. 17. პიეტა. 19. პო. 20. კვირია. 23. ალიენდე. 24. ინტეგრალი. 27. ფრაზა. 28. იუვენტუსი. 29. იზაბელა. 31. მაცხოვარი. 32. დეკორატორი. 33. შირმა. 37. შენიე. 38. კონტრიბუცია. 40. აპათია. 41. ბაროკამერა. *შვეულად:* 1. რაიმონდო. 2. ჩამორჩენილი. 3. სტიმული. 4. ეკოლოგია. 5. ინდიანაპოლისი. 6. გაბროვო. 7. ტერორისტი. 8. სტაინბეკი. 9. ტირანია. 18. ტანკა. 20. კატოვიცე. 21. ბელა ბარტოკი. 22. სიცილია. 23. ათენი. 25. გენიოსი. 26. აგუნა. 27. ფრანკონია. 30. ებრაელი. 31. მირანდა. 32. დაშნა. 34. მაცნე. 35. ტრიო. 36. ბათა. 39. ბზა.

**უბრალოდ კროსვორდი** (მე-7 გვ) *თარაზულად:* 1. სერა. 3.აკუმულატორი. 8. ბარკლი. 13. ლეიკემია. 14. იმუნიტეტი. 15. ალფი.18. სკანდინავია. 19. ტრამპლინი. 23. ფერარი. 24. ვაგნერი. 25. სტოტინკი. 28. რუალ. 29. გადია. 30. პანტალონე. 34. კიბერნეტიკა. 35. ონეგა. 36. ველი. 40. პენზა. 41. ალიასკა. 42. ტაიტი. 47. გასტრონომი. 48. სტერილიზაცია. 50. მელაძე. 51. მილიტარიზმი. 52. იდეა. 55. ნეპი. 56. ვინოფობია. 57. ფტორი. 61. ალკოჰოლიზმი. 62. მაკრატელი. 66. კაკაო. 67. ანდერძი. 68. უზანგი. 72. კომპოსტერი. 73. შევრონი. 74. ვალი. 77. ბენდი. 78. ანარქია. 79. კლინიკა. 84. ირაო. 85. დალტონი. 86. ბენზოლი. 90. ოპოზიცია. 91. პირანია. 92. აგენტი. 93. იდილია. 94. დისიმილაცია. 95. ბაგა. *შვეულად:* 1. სული. 2. რეინკარნაცია. 4. კრილია. 5. ლამპიონი. 6. ტონი. 7. როტორი. 9. კალინინი. 10. ილია. 11. ტერნერი. 12. სტომატოლოგი. 16. ბატალისტი. 17. პლატინი. 20. სფერო. 21. არმან. 22. მილიცია. 26. გარნიზონი. 27. სტენოკარდია. 31. დემეტრაძე. 32. სკოლა. 33. პესტიციდი. 37. დრაგომანი. 38. კასტრაცია. 39. ჰანზა. 43. ასვლეპილი. 44. ამფიბოლია. 45. კლიმატური. 46. შარაგზა. 49. ფიროსმანი. 53. ქირომანტი. 54. პროტეზი. 58. პოლაროიდი. 59. ხანძარი. 60. კლონდაიკი. 63. რისკი. 64. ვენეცია. 65. ნისია. 69. იმპერატორი. 70. გრანიტი. 71. ანალიზი. 75. ბრონქიტი. 76. ანალოგი. 80. ლიმონი. 81. ვარია. 82. რეგინა. 83. რუტინა. 87. ჩირი. 88. ზარი. 89. ანძა.

**ПО ГОРИЗОНТАЛИ:** 5. Рабинович. 6. Град. 8. Мопс. 10. Примера. 12 Квартет. 13. Арахнид. 14. Усы. 16. Громила. 18. Аномалия. 20. Острава. 21. Ветер. 22. Предок. 24. Пароход. 25. Турист. 28. Руссос. 30. Икар. 31. Важа. 32. Камера. 35. Бардак. 37. Распутина. 40. Алена. 41.Транс. 42. Камикадзе. ПО ВЕРТИКАЛИ: 1. Аборт. 2.Гном. 3. Свора. 4. Приворот. 7. Дуремар. 8. Мухомор. 9. Приклад. 10. Пекло. 11. Арина. 15. Серго. 17. Астана. 18. Аврора. 19. Цветок. 23. Косяк. 26. Имерети. 27. Тиара. 28. Рабат. 29. Сиртаки. 33. Агара. 34. Сулико. 36. Арсен. 38. Сумма. 39. Исида.








სახე - დენიზ რიჩარდსი

თვალები - ჟულიეტ ბინოში

## მე-8 გვერდი






## მე-11 გვერდი



## მე-10 გვერდი



# აფორიზმების ანთოლოგია

**935**. მშვენიერება არის მრავალფეროვნების ერთიანობა.

**უცნობი ავტორი**

**936**. კაცმა რომ თქვას ეს სამყარო მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ ქვეყნად ერთი მშვენიერი წიგნი შეიქმნას.

**სტეფანე მალარმე**

**937**. ესთეტიკა მხატვრისათვის იგივეა, რაც ორნითოლოგიაა ფრინველისათვის.

**ბარნეტ ნიუმენი**

**938**. ხელოვნებათმცოდნეები ხშირად ისეთ ადამიანებს ჰგვანან, რომლებმაც სურნელების ქიმიური შენადგენლობა იციან, მაგრამ არომატს ვერ გრძნობენ.

**სტანისლავ ეჟი ლეცი**

**939**. ხელოვნება ხელოვნებათმცოდნეებს ეკუთვნით.

**არკადი დავიდოვიჩი**

**940**. ხელოვნება არის დიალოგი, სადაც თანამოსაუბრე დუმს.

**გრიგორი ლანდაუ**

**941**. ხელოვნება უყვართ მათ, ვისაც ცხოვრებაში არ გაუმართლა.

**უცნობი ავტორი**

**942**. მეცნიერება გამშვიდებს... ხელოვნება კი იმისათვის არსებობს, რომ დამშვიდების უფლება არ გქონდეს.



**ჟორჟ ბრაკი**

**943**. სინამდვილეში ხელოვნება ასახავს არა ცხოვრებას, არამედ მის მაყურებელს.

**ოსკარ უაილდი**

**944**. ხელოვანი უნდა არსებობდეს თავის ქმნილებაში, როგორც ღმერთი სამყაროში - იყოს ყველგანმყოფი და უხილავი.

**გუსტავ ფლობერი**

**945**. არსებობენ ქმნილებები, რომლებიც მისი აუდიტორიისაგან იქმნებიან... და არის ქმნილებები, რომლებიც თავად ქმნიან აუდიტორიას.

**პოლ ვალერი**

**946**. ოსტატობა არის ის, როცა „რა“ და „როგორ“ ერთად მოდიან.

**ვსევოლოდ მეიერჰოლდი**

**947**. ყველა ბავშვი ხელოვანია... მთელი სირთულე კი იმაშია, რომ ხელოვანად დარჩე ბავშვობის ასაკიდან გამოსვლისას.

**პაბლო პიკასო**

**948**. მხოლოდ აუქციონის წამყვანს აქვს უფლება ერთგვარად იყო აღფრთოვანებული ხელოვნების ყველა მიმართულებით.

**ოსკარ უაილდი**

**949**. ხელოვანმა უნდა იცოდეს ყველაფერი სიყვარულის შესახებ და მის გარეშე შეეძლოს ცხოვრება.

**ანა პავლოვა**

**950**. მხატვარი მატყუარაა, ხელოვნება კი - სიმართლე.

**ანდრე მორუა**

**951**. ხელოვანი ადამიანის რაიმე განსაკუთრებული სახესხვაობა არ არის, მაგრამ ყოველი ადამიანი ხელოვანის განსაკუთრებული სახესხვაობაა.

**ერიკ ჰილი**

**952**. ...რაკიღა ამას ყიდულობენ, ესე იგი ეს ხელოვნებაა...

**ფრანკ ლოიდ რაიტი**

**953**. ხელოვნება ეს არის ხელოვნების დამალვის უნარი.

**პერიფრაზირებული ოვიდიუსი**

**954**. ცხოვრება უფრო ჰბაძავს ხელოვნებას, ვიდრე ხელოვნება ცხივრებას.

**ოსკარ უაილდი**

**955**. მე ვიცი, რომ ხელოვნება უკიდურესად აუცილებელი რამ არის, მაგრამ არ ვიცი - რისთვის?!

**ჟან კოქტო**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | 4 | 4 | 12 | 6 | 10 | 10 | 10 | 9 | 4 | | | | | | 7 | 8 | 8 | 11 | | | | 8 | | | 1 | 1 | | |
| 2 | 4 | 5 | 6 | 7 | 1 | 2 | 2 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 10 | 6 | 6 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 3 | 16 | 16 | 16 | 3 | 8 | 5 | 3 | 3 | 5 | 3 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | 2 |
| | | 1 | 2 |
| | | | 2 |
| | | | 3 |
| | | | 3 |
| | | | 10 |
| | | 5 | 10 |
| | | 7 | 10 |
| | | 9 | 10 |
| | | 10 | 11 |
| 2 | 2 | 7 | 12 |
| | | 5 | 21 |
| | 7 | 4 | 14 |
| 7 | 4 | 7 | 4 |
| 6 | 4 | 4 | 4 |
| 6 | 4 | 3 | 4 |
| | 1 | 2 | 3 |
| | | 8 | 3 |
| | | 7 | 5 |
| | | 9 | 7 |
| | | 10 | 8 |

**ი/ს „ფანტაზია-2000“** (ნატალია ბერიკიშვილი)
რეგისტრ ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ № 5/1-2304
ტელ. - 79-53-70, (8-77) 45-19-80
e-mail vakho20@ti.net.ge
გამოდის **ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილების** რედაქტორობით

**376**. ბუკინგემის სასახლეში დიდი მიღებაა. სტუმრებს ჩაი მოართვეს. დოქტორი ვატსონი ეუბნება შერლოკ ჰოლმსს:

- დარწმუნებული ვარ, სერ, რომ ამ




მიღებაზე ბევრი ქვეყნის ჯაშუშია შემოპარული!...

- თქვენ სწორი ბრძანდებით, სერ! აი, მაგალითად, ჩვენს პირდაპირ რუსი ჯაშუში ზის.

- საიდან დაასკვენით, სერ?

- ძალზედ უბრალოდ, ჩემო მეგობარი... მათთან რუსეთში წესად არ აქვთ ჩაის სმისას კოვზის ჭიქიდან ამოღება...

- კი მაგრამ, სერ?! - შეხედეთ, მისი კოვზი მაგიდაზე დევს...

- დიახ... თვალი კი მოჭუტული აქვს, სერ!..

**377**. მაღაზიაში ერთი კაცი შევიდა და გამყიდველს ეუბნება:

**კლიენტი** - გეთაყვა, მომეცით ის კალამი!

გამყიდველი აძლევს...

**კლიენტი** - არა, არა... მისი ფერი არ მომწონს... მწვანე მომეცით... (აძლევს)... არა, წითელი მირჩევნია... (აძლევს)... ფერი კი კარგი აქვს, მაგრამ მისი თეთრი ღილაკი არ მომწონს... აი, ის მომაწოდეთ, შავი ღილაკით...

და ასე გრძელდება თითქმის ნახევარი საათი. ბოლოს, გამყიდველი, როგორც იქნა, კალამს ირჩევს და წასვლას აპირებს.

**გამყიდველი**: - მოიცადეთ, გეთაყვა!

**კლიენტი**: - გისმენთ!

**გამყიდველი**: - აი. თქვენ უფასო დანამატი - და პრეზერვატივების შეკვრას აძლევს!

**კლიენტი**: - გმადლობთ, მაგრამ რისთვის?!

**გამყიდველი**: - იმისთვის, რომ თქვენნაირები აღარ გამრავლდნენ!

## ცხოველთა სამყაროში – 6 „ყველაზე მონოპოლიზირებული მსოფლიოში“

